# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№72 (9903) 2025 წლის 21 მაისი, ოთხშაბათი


## უმრავლესობის დუმილი ღალატია!

## „რატომ უშრებათ ჩვენს კაცებს ძარღვებში სისხლი“?!



7

## სიკვდილის ესკადრონები 3

## 26 მაისის ღამე... ჯოჯოხეთია გასახსენებლად 4

## პოლიტიკური ტერორის სტრატეგია — გზა უსამართლობისკენ! 2



5

## დონალდ ტრამპმა უკრაინა მიატოვა?

## გაოცებული და შოკირებული ევროპელი ლიდერები...

რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ამერიკელმა ლიდერმა დონალდ ტრამპმა ევროპული სახელმწიფოების მეთაურებსა და ვოლოდიმირ ზელენსკის განუცხადა, რომ არ გეგმავს მოსკოვის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას.

პორტალ „აქსიოსის“ ინფორმაციით, **ტრამპმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ, მისი აზრით, რუსეთი უკრაინაში კონფლიქტის მოგვარებისადმი სერიოზულ დაინტერესებას ავლენს.**

ამერიკელმა ლიდერმა გამოხატა რწმენა, რომ **რუსეთი მზადაა, დადოს შეთანხმება და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირდაპირი მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ დაიწყოს. ამასთან, ტრამპის საუბრიდან გამომდინარე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ აშშ მოლაპარაკებების პროცესიდან გასვლასთან ახლოსაა.**

წყაროები აღნიშნავენ, რომ ევროპელი ლიდერები იყვნენ „გაოცებულები და შოკირებულები“.

პორტალის ცნობით, **ევროპელი პოლიტიკოსები ელოდებოდნენ, რომ ტრამპი აცნობებდა მათ რუსეთის თანხმობას ცეცხლის შეწყვეტაზე ან აშშ-ის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შესახებ.**

წყაროების ცნობით, **ამავე საუბრისას ზელენსკიმ და ევროპელმა ლიდერებმა ტრამპს შეახსენეს, რომ მოლაპარაკებების დაწყება ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტით მისი იდეა იყო.**

„აქსიოსის“ ინფორმაციით, **ზელენსკიმ ეს საუბარი უარყოფითად შეაფასა. ზელენსკის გარდა, ამ საუბარში მონაწილეობდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, გერმანიის კანცლერი ფრიდრიხ მერცი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი, ფინეთის პრეზიდენტი ალექსანდერ სტუბი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი.**

საუბრის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, **ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ არ იქნება ჩართული ამ მოლაპარაკებებში. მან განაცხადა, რომ რუსეთი ამზადებს თავის წინადადებებს ცეცხლის შეწყვეტის პირობებისა და კონფლიქტის დასრულების შესახებ.**

ამასთან, **ზელენსკიმ თქვა, რომ პუტინთან მოლაპარაკებების წინა რაუნდებმა არ გამოიღო შედეგი და თუ ტრამპი არ მოახდენს ზეწოლას, პუტინი არ გაინძრევა.**

იხ. 8 გვ.




ირაკლი კობახიძე:

## ყველა მოსწავლეს, რომელიც დღეს თავისი ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს, ვულოცავ სკოლის დამთავრებას

გოლო ზარი ადამიანის ცხოვრებაში ბევრ დადებით ემოციასთან ერთად, ბედნიერი მომავლის რწმენასთან ასოცირდება. **ყველას გულითადად ვუსურვებ მშვიდობიან, ნათელ მომავალს, საკუთარი მიზნებისა და ოცნებების რეალობად ქცევას და საინტერესო, მრავალფეროვან ცხოვრებას.**

**დარწმუნებული ვარ, ახალი თაობა კიდევ უფრო მეტი შემართებით შეხვდება ცხოვრების გზაზე არსებულ ახალ გამოწვევებს და თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შენებაში.**

## პირველი ქართველი

„2025 წლის 18 მაისს, ნეპალის დროით დილის 9:10 საათზე, პლანეტის უმაღლეს წერტილზე – ევერესტის მწვერვალზე ვიდექი და ჩემს წინაშე მთელი პლანეტა გადაიშალა.

**ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი ოცნება და მისკენ მიმავალ გზაზე, მე გავხდი ისტორიაში პირველი ქართველი ქალი, რომელიც ევერესტზე ავიდა. ჯერ ვერ ვაცნობიერებ, ვერ ვიგებ, ვერ გადავხარშავ. ჯერჯერობით, თითქოს პარალელურ რეალობაში ვარ“,** – ამბობს ალინა გამსახურდია.





WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

**პატრიოტული სულისკვეთების მქონე ქართველები არცთუ უსაფუძვლოდ მივიჩნევთ, რომ ის თვალწარმტაცი ოაზისი, სადაც ვართ განსახლებული, თვით მამა-ღმერთმა გვიფეშქაშა განსაკუთრებული კეთილგანწყობის დასტურად.**

**რამდენად რაციონალურად მოვიხმართ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს, სხვა საკითხია, მაგრამ უამრავი თავსატეხი რომ გაგვიჩინა ასეთმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, ამის თქმა დადასტურებულად შეგვიძლია, როგორც ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ისე ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით.**




ვითარებიდან გამოსავალს, მაგრამ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის კონსოლიდაციას ვერაფრით მიაღწია. ახლა ხომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი არაა, როცა სალომე „ქართველი" და ჭაბუკი მიხეილ სააკაშვილი, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წამოწყებული შეიარაღებული დაპირისპირების იდეოლოგიურ მხარდაჭერაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს!

სხვათაშორის, მეხუთე პრეზიდენტი, მესამე პრეზიდენტის მსგავსად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიმბოლურ თარიღებს. ჯერ იყო და, 31 მარტი ამოიჩემა, მერე 9 აპრილი, ახლა კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ამოიღო მიზანში – ჩვენ უნდა ჩავიბაროთ 26 მაისიო!

თქვენი მონა-მორჩილის მოკრძალებული

# პოლიტიკური ტერორის სტრატეგია – გზა უსამართლობისკენ!

**ულმობელი ბედისწერისა თუ სხვა სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, ეკონომიკურად წელში გამართული საქართველო ძლევამოსილი იმპერიების ინტერესებში არ შედიოდა და გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში ფიზიკური გადარჩენისთვისაც კი გვიხდებოდა მუდმივი ბრძოლა.**

გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, 21-ე საუკუნეშიც არაერთ გავლენიან სახელმწიფოზე ვართ დამოკიდებული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, რის გამოც შეზღუდული გვაქვს სუვერენული უფლებები.

**მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეალური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გამოავლინა, აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებამ მწვანე შუქი აუნთო იმ ანტისახელმწიფოებრივ ძალებს, რომლებიც რევანშიზმის სურვილით იყვნენ შეპყრობილი, რამაც სამოქალაქო დაპირისპირების ინდიკატორის როლი შეასრულა და ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე შეიწირა.**

ლოგიკურად იბადება კითხვა: შეიცავდა თუ არა ასეთი როყიო განცხადება პოლიტიკური ტერორის წამახალისებელ ნიშნებს? ცხადია, შეიცავდა, რადგან სახელმწიფო გადატრიალება და არასასურველი პოლიტიკური ლიდერის ფიზიკური ლიკვიდაცია, გავლენიანი ლობისტების მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდებოდა!

**ეფიმ ჩერნიაკის** სქელტანიან წიგნში **„ხუთასწლიანი ფარული ომი"** და **კლაივ გიფორდის** ნაშრომში **„ჯაშუშები და ჯაშუშობა"**, რეალურ ისტორიებზე დაყრდნობითაა აღწერილი სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა დასახული მიზნის მისაღწევად.

დიპლომატიის კლასიკოსად წოდებულმა ჰენრი კისინჯერმა გულახდილად აღიარა, რომ 1973 წელს ჩილეში პროვოცირებულ სამოქალაქო დაპირისპირებისა და პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს ვერაგული მკვლელობის უკან ამერიკის შეერთებული შტატები იდგა – იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი კუბაზე სამხედრო ბაზას აშენებდა, ამიტომ მეზობელ ჩილეში ჩვენი კაცი გვჭირდებოდა და ბიძგი მივეცით პროცესებსო!

– მე არ მყოლია პირადი მტრები, ჩემი მტრები სახელმწიფოს მტრები იყვნენო, თქვა სიცოცხლის დასალიერზე კარდინალმა რიშელიემ. ამ ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ევროპელ-ამერიკელი პარლამენტარ-კონგრესმენები, რომლებიც მოქმედი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ასანქცირებენ პერსონალურად, არა პირადად მათი, არამედ საქართველოს



**ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია პოლიტიკური ტერორი, აქტიურად არიან ჩართული ევროკავშირის ელჩი საქართველოში, ჩეხი ეროვნების პაველ ჰერჩინსკი და მისი გერმანელი კოლეგა ერნსტ პეტერ ფიშერი, ნებაყოფლობით რომ დაადგა სატანის მეცხრე მოციქულის კელი დეგნანის გზას, რომელიც დი პლომატიურ მოუსავლეთში მიდის!**

მტრები არიან, რადგან მიზანმიმართულად აფერხებენ ქვეყნის განვითარებას.

სხვა მანკიერებასთან ერთად, ჩვენი უბედურება ისიცაა, რომ ქართული გვარ-სახელების მქონე კოლაბორაციონისტები ენთუზიაზმითა და ერთგვარი აზარტითაც კი არიან ჩართული კარგად ორკესტრირებულ ანტისახელმწიფოებრივ დივერსიებში, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი მცდელობას არ აკლებს, ყველა შესაძლო გზით დააზიანოს სახელმწიფოს პრესტიჟი, ადგილობრივი რევანშისტები არასაკმარისად მიიჩნევენ მის აქტივობას და უსაქმურობაშიც კი დასდეს ბრალი. რაც უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, განსაკუთრებულად უკმაყოფილო ჩანდა გუბაზ სანიკიძე, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ, მეორე თამარ მეფედ ჰყავდა გამოცხადებული „ჯერაც ლეგიტიმური პრეზიდენტი: „რამეზე შეათანხმა ოპოზიცია? რამეს მოაბა თავი? რამდენი პროექტი დაიწყო, იმდენი ჩააფლავა! რამე ვალი გვაქვს ამ ქალის?"

თავს უფლებას მივცემ, ბატონ სანიკიძეს შევახსენო, რომ ვალი თუ არა, ვალდებულება აქვთ აღებული, როგორც ერთმანეთის, ისე უცხოელი დამკვეთების წინაშე, რომელთა მიზანი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაა საქართველოში. თუ ვინმეს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სამგზის წყეული მაკ-კეინის ინსტიტუტი და მისი ოდიოზური კოორდინატორი ლორა თორნტონი სოლიდურ დაფინანსებას ნაცრის ქექვისთვის გადაუხდიან ზურაბიშვილს, იმედები უნდა გავუცრუოთ, რადგან კაპიტალისტები ფულს წყალში არ ყრიან!

სწორედ ამ ულმობელი რეალობის გამოა, 2025 წლის 9 იანვრიდან მოყოლებული, რაც უმუშევრად დარჩენილ ნაპრეზიდენტალს წმინდა იანვარიუსი გაუწყრა და ზუგდიდში მხარდამჭერებთან შეხვედრისას წინააღმდეგობის მოძრაობა დააანონსა, მუხლი არ ჩაუხრია, ღობე-ყორეს ედება და სასოწარკვეთილი ეძებს ჩიხური ვარაუდით, ოპოზიციის არშემდგარ ლიდერს საგამოძიებო ორგანოს უწყების ჩაბარება მოუწევს, თუკი მანამდე გუდა-ნაბადი არ აიკრა და მშობლიური საფრანგეთის სენ-ჟერმენის სააბატოს არ შეაფარა თავი!

**გამორიცხული არაა, 26 მაისის ხალხმრავალი ღონისძიების მსვლელობისას, რუსული ბანი პაატა ბურჭულაძე და თვითმარქვია ფრანგული მეცო-სოპრანო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს რღვევის პროცესს ოპოზიციაში, რომელიც კარგა ხანია თვალშისაცემია.**

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია პოლიტიკური ტერორი, აქტიურად არიან ჩართული ევროკავშირის ელჩი საქართველოში, ჩეხი ეროვნების **პაველ ჰერჩინსკი** და მისი გერმანელი კოლეგა **ერნსტ პეტერ ფიშერი**, ნებაყოფლობით რომ დაადგა სატანის მეცხრე მოციქულის **კელი დეგნანის** გზას, რომელიც დიპლომატიურ მოუსავლეთში მიდის!

ყველაზე უწყინარი შეფასებით, გაუგებარი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დედაქალაქის რამდენიმე სუპერმარკეტში მოსალოდნელი იყო აფეთქება ანუ დივერსიული აქტი, რამაც საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს ეს ინფორმაცია უარყვეს, გაურკვეველია, თუ რა ამოცანას ისახავდა მიზნად გავლენიანი დიპლომატიური უწყება, როცა კოორდინაციაში არ ყოფილა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურთან.



**„რამეზე შეათანხმა ოპოზიცია? რამეს მოაბა თავი? რამდენი პროექტი დაიწყო, იმდენი ჩააფლავა! რამე ვალი გვაქვს ამ ქალის?"**

არა არს დაფარული, რომელიც...

საქართველოს რესპუბლიკა





**თუკი ჩვენი ევრო-ამერიკელი პარტნიორები პოლიტიკური ტერორის სტრატეგიას ჩაანაცვლებენ სტრატეგიული პარტნიორობის პოლიტიკით, ეს იქნება იდეალური ვარიანტი, რომელიც სასიკეთო გავლენას მოახდენს გლობალური პროცესების სტაბილიზაციის თვალსაზრისით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში.**

მკურნალო, განიკურნე თავი შენიო, ამბობს მაცხოვარი სახარებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ის უღმერთო ალქაჯები, ვინც ხალხით სავსე რუსთაველზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ და უხამსი ლექსიკით შეურაცხყოფენ განსხვავებული მრწამსის მქონე თანამოქალაქეებს, უფლის შეგონებას ყურად არ იღებენ, მკურნალის ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. ცივილიზებულ სამყაროში, როგორც წესი, მკურნალობა ნებაყოფლობითია, მაგრამ რეციდივის შემთხვევაში არც მკურნალობის იძულებითი მეთოდების გამოყენებაა გამორიცხული.

უფრო გამარტივებულად თუ ავხსნით, როცა პროტესტის გამოხატვა ძალადობრივ ფორმას იღებს და ვითარება სახიფათო ხდება, სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რაც პროპორციული ძალის გამოყენებით მოძალადე ჯგუფების განეიტრალებას გულისხმობს, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით.

ასე იქცევიან სამართალდამცველები იმ საოცნებო ევროკავშირის ქვეყნებში, რომელიც დემოკრატიის ოაზისად წარმოუდგენია ე.წ. ჯენზი თაობას და მათ სულიერ მოძღვარ-მასწავლებლებს.

**არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობაო, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირიან ეგზალტირებული პროტესტანტები, იქნებ იმაზეც დაფიქრებულიყვნენ, რამდენად სამართლიანია მათი მეთოდები და დამოკიდებულება იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ.**

ევროპელი პარლამენტარების ერთი ნაწილისა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის აღქმით, პოლიტპატიმარია მიხეილ სააკაშვილი, მედიამენეჯერი მზია ამაღლობელი და რეჟიმის ტყვეები არიან ყველა ის დებოშიორი, რომლებიც ძალადობრივი საპროტესტო აქციების დროს დააკავეს.

ეს აბსურდია!

სააკაშვილი რომელი ადოლფ ეიხმანი იყო, „ხრეშატიკზე“ რომ მოეტაცათ სპეცსამსახურებს, ისრაელის „მოსადის“ მსგავსად – დარჩენილიყო ლიზა იასკოსთან უკრაინაში და იქნებოდა ჩიტივით თავისუფალი, მაგრამ არ მოასვენა გამჩენმა, რადგან ეშმაკზე აქვს სული მიყიდული!

რაც შეეხება მზია ამაღლობელს, რომელიც ვითომდა პოლიტიკური შეხედულებების გამოა დაკავებული, მისი ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, უთუოდ ეცოდინებოდა, რომ თმენის ვალდებულების პარალელურად, არსებობს თავშეკავების ვალდებულება, რაც კანონში არაა გაწერილი, მაგრამ გონებაში გვაქვს ჩაბეჭდილი და ემოციების მართვაში გვეხმარება...

ასეთი ელემენტარული საკითხები ჩვენგან არ ესწავლებათ ევროპელ-ამერიკელ „უფლებადამცველებს“, მაგრამ მაინც აფრიკული ველური ძაღლებივით იღრინებიან და გესლის ნთხევით არიან დაკავებული, რადგან „ქართული ოცნების“ ხელისუფლება თევზის ფხასავით გაეჩხირათ ყელში!

საბედნიეროდ, გეოგრაფიულ დასავლეთში მრავლად არიან საქართველოსა და ქართველი ერისადმი კეთილგანწყობილი პოლიტიკოსები, რომლებიც მოვლენებს ობიექტურად აფასებენ.

მაგალითისთვის, შეგვიძლია დავასახელოთ გერმანელი ევროპარლამენტარი **ჰანს ნოიჰოფი**, საღად მოაზროვნე ანალიტიკოსი: **„პატივი ეცით საერთაშორისო სამართალს, პატივი ეცით საქართველოს უნარს, მიიღოს საკუთარი კანონები. ჩემი კოლეგები მარცხენა ფრთიდან აღშფოთებულნი არიან საქართველოს პარლამენტის იმ კანონით, რომელიც მოზარდებსა და მცირეწლოვანებს იცავს. თქვენ გეშინიათ დემოკრატიის საქართველოში, თქვენთვის მიუღებელია, როდესაც რომელიმე ქვეყანა თქვენი ცისარტყელას პროპაგანდას უარყოფს“.**

ასეთი პოზიტიური გზავნილების აქტივში უნდა შევიტანოთ საქართველოს ურყევი მეგობარი ქვეყნის – უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **პიტერ სიიარტოს** პირუთვნელი პოზიცია: **„საქართველოს შიდა საქმეებში ბრიუსელის ჩარევა ხდება იმის გამო, რომ უსამართლოა მიდგომა საქართველოსადმი და საქართველოს მთავრობისადმი. ამის მიზეზი ძალიან მარტივია – ბრიუსელში ყველა პატრიოტული, კონსერვატიული, მემარჯვენე მთავრობები სძულთ!“**

ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრების, უნგრეთის და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრების, **ვიქტორ ორბანისა** და **რობერტ ფიცოს** მტკიცე მხარდაჭერა, ევროსაბჭოს გენერალური მდივნის **ალენ ბერსეს** და ეუთოს გენერალური მდივნის **ფერიდუნ სინირლიოღლუს** ვიზიტები იძლევა ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ განახლების ძალუმი ქარი ჩვენი სამშობლოს თავზე მოჯარებულ ლეგა ღრუბლებს გადარეკავს, უახლოეს თვალსაწიერში, საღი აზრის ზეგავლენით, რაც სასიკეთო პროცესების განვითარებას დაუდებს სათავეს.

ასეთი დასაბუთებული ვარაუდის შესაძლებლობას ასევე იძლევა გაეროს გენერალური მდივნის **ანტონიო გუტიერეშის** მისასალმებელი წერილი პრეზიდენტ ყაველაშვილისა და პრემიერ-მინისტრ კობახიძისადმი, რომელშიც კეთილგანწყობის გამომხატველი გზავნილებია აქცენტირებული.

**მინდა მჯეროდეს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია უმოკლეს დროში გამოუცხადებს სამართლიან მხარდაჭერას ქართველ საზოგადოებას, რომელმაც სხვაზე უკეთ იცის მეგობრობის ფასი, როცა ეს მეგობრობა ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული!**

**თუკი ჩვენი ევრო-ამერიკელი პარტნიორები პოლიტიკური ტერორის სტრატეგიას ჩაანაცვლებენ სტრატეგიული პარტნიორობის პოლიტიკით, ეს იქნება იდეალური ვარიანტი, რომელიც სასიკეთო გავლენას მოახდენს გლობალური პროცესების სტაბილიზაციის თვალსაზრისით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში.**



**თეიმურაზ ჟანელიძე,**
**წყალტუბო-ჩუნეში.**

**ევროპელი პარლამენტარების ერთი ნაწილისა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის აღქმით, პოლიტპატიმარია მიხეილ სააკაშვილი, მედიამენეჯერი მზია ამაღლობელი და რეჟიმის ტყვეები არიან ყველა ის დებოშიორი, რომლებიც ძალადობრივი საპროტესტო აქციების დროს დააკავეს.**

# სიკვდილის ესკადრონები

## მოახლოვდა 26 მაისი და კიდევ ერთხელ გაგვეხსნა ფაშისტური ნაცრეჟიმის მიერ 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის პერიოდში მოყენებული შეუხორცებელი ჭრილობა.

**გემახსოვრებათ, როგორ გვიბილწავდნენ (უფრო სწორად, ცდილობდნენ ამას) ვარდოსანი მანქურთები საერო და რელიგიური დღესასწაულების თარიღებს – მაგალითად – 2003 წლის 23 ნოემბერი და 2004 წლის 6 მაისი, როცა ჯერ სახელმწიფო გადატრიალება აზეიმეს ხალხს გიორგობის ნაცვლად და ამას ვარდების რევოლუცია უწოდეს, ხოლო შემდეგ აჭარის განთავისუფლება, აქაოდა ასლან აბაშიძე გაიქცაო. მოგვიანებით ქართული ფეხბურთის ევროპული ტრიუმფის აღმნიშვნელი 13 მაისი ჩაგვამწარეს და 2007 წელს ქორთიარდ მარიოტში „დადგმული“ სამარცხვინო საარჩევნო სპექტაკლით იგი მარადიულ ლაქად გვიქციეს.**

**და აი, მივადექით ხელისუფლების სათავეში მოკალათებულ ვაიპოლიტიკოსთა უკიდეგანო ძალმომრეობის აპოთეოზს – 2011 წლის გაზაფხულის მიწურულს და რუსთაველზე შხაპუნა წვიმაში უდანაშაულო მომიტინგეებზე ქართველ როდიონოვთა მიერ განხორციელებულ დაუნდობელ შტურმს, მიზნად განსხვავებული აზრის სამაგალითოდ დასჯას რომ ისახავდა.**

თუ არა ცინიზმი, რა უნდა ეწოდოს სპეცოპერაციის შემდეგ სისხლიანი გამზირის სასწრაფოდ გადარეცხვას და რამდენიმე საათში დიპლომატიური კორპუსის პირში წყალჩაგუბებულ წარმომადგენელთა თანდასწრებით სახელმწიფო ჯილდოებით მტარვალთა ფავორიტ ელიტართა დაფეშქაშებას, თითქოს ცოტახნის წინათ იქ სერიოზული არაფერი მომხდარიყოს. ხომ შეიძლება პარალელის გავლება თანამედროვეობასთან, როცა ევროკავშირისა თუ ცივილიზებულ დასავლურ სახელმწიფოთა ელჩები ისევ დემოკრატიის კვაზიშუქურის ვივამედის ლუქს-პალატიდან დახსნასა და დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალის ნაცვლად ძალაუფლების სათავეში მათი ფინიასავით მორჩილი ყოფილი ლიდერების დაბრუნებას 'უპრაგონოდ“ ცდილობენ?

მაშინდელ 26 მაისზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საშვილიშვილო ძალისხმევას ეშმაკის მოციქულთა ნაავკაცარის პირუთვნელად შესაფასებლად და, ბოლოსდაბოლოს, კანონის ძალით მის პოლიტიკურ მოუსავლეთში გასასტუმრებლად, რისი არგუმენტიც მორიგ სხდომაზე ერის საამაყო სპორტსმენთაგან გაჟღერებული ფაქტებიც უნდა გახდეს.

მართლაც, როგორ უნდა შერჩეთ სიკვდილის ბრიგადებს ხახვივით ჭადრაკის დედოფალ **ნონა გაფრინდაშვილისა** და მისი ოჯახის წევრთა გვემა იმ ერთადერთი მიზეზის გამო, ოპოზიციურ სახალხო კრებას რომ უჭერდნენ მხარს? როცა ეს სასახელო მამულიშვილი ბრძანებს, აღვირახსნილ მოძალადეთაგან ჩემი შვილის მეგობარმა გამომარიდა, მოყენებულ დაზიანე-



ბათაგან კი რამდენიმე დღის განმავლობაში აუტანელი ტკივილებით ვიტანჯებოდიო, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მასშტაბებზე იყო გასული ჩვენი ეპოქის საკონცენტრაციო ბანაკების მანიაკ თანამშრომელთა სადიზმი?

ან თუნდაც ხალიჩის დიდოსტატ **ლუკა კურტანიძის** შემთხვევა შეგძრავს კაცს, პლასტმასის რამდენიმე ბორკილით რომ შეუკრეს ღონიერი ხელები, ძვლების სალეწ კარანტინში რომ გაატარეს და განუწყვეტლივ სცემდნენ.



ფეხბურთელ **დავით ლორთქიფანიძის** ნაამბობი კი, მაღაზიის სახურავზე ვითომ დენის დარტყმით დაღუპული **სულიკო ასათიანის** გამოშიგნული ცხედრის ვიდეოთვალთვალსა და სამძიმარზე შემსვლელთა ვინაობის დაფიქსირებას რომ ასახავდა, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ რეზონანსულ დანაშაულად გამოადგება ევროსასამართლოს. აღარაფერს ვამბობთ გამოთხრილ თვალზე, გამოგლეჯილ ყელსა და დამტვრეულ თითებზე.



**ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია უახლოესი ფაშისტური წარსულის სისხლიანი ქრონიკებიდან. სამწუხაროდ, გაგრძელება იქნება.**

**გია პლატონიშვილი**



# 26 მაისის ღამე... ჯოჯოხეთია გასახსენებლად

**პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაზე,** სადაც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს მედიისა და გამოხატვის თავისუფლების უხეში დარღვევის ფაქტები განიხილებოდა, გუშინ ისაუბრეს ჟურნალისტებმა **გიორგი იაკობაშვილმა, გიორგი მამაცაშვილმა, ბონდო მძინარაშვილმა, ბექა სივსივაძემ** და **ვახტანგ ხუზმიაშვილმა**.



## გიორგი იაკობაშვილი

**...„კავკასუს ონლაინს“ ინტერნეტ-ბაზრის 80 პროცენტზე მეტი ეკავა. განვითარება სჭირდებოდა – ჭებში კაბელების ჩადება, ეს ჭები იყო ელექტროკავშირის საკუთრება, ელექტროკავშირი იყო ბუნებრივი მონოპოლისტი, შემდეგ ელექტროკავშირი გადაეცა „სილქნეტს“ და „კავკასუს ონლაინს“ უკანონოდ უთხრეს უარი, რომ ეს კაბელები ჭებში ჩადებულიყო, –** ამის შესახებ ჟურნალისტმა **გიორგი იაკობაშვილმა** საგამოძიებო კომისიის სხდომაზე განაცხადა.

მისი განცხადებით, „კავკასუს ონლაინის“ მფლობელმა, მამია სანადირაძემ ეს პრობლემა კორპუსიდან კორპუსზე კაბელების გადაყვანით გადაწყვიტა, თუმცა, „სილქნეტის“ და მერიის თანამშრომლები „კავკასუსის“ კაბელებს ჭრიდნენ, რის შედეგადაც, მოსახლეობას მუდმივი დისკომფორტი ექმნებოდა და კომპანიას მომხმარებლებიც მოაკლდა.

**„მამია სანადირაძემ პრობლემა ისე გადაწყვიტა, რომ კორპუსიდან კორპუსზე გადაჰყავდა კაბელები და შეიძინა მომხმარებლები, ბევრი აბონენტი – 80 პროცენტზე მეტი ჰქონდა. ამ დროს, „კავკასუს ონლაინის“ განადგურების მიზნით დაიწყო ასეთი რამ: „სილქნეტის“ და მერიის თანამშრომლები ერთად დადიოდნენ სახურავებზე, მერიის თანამშრომელს ხელში ეკავა ნაჯახი, „სილქნეტის“ თანამშრომელი მას ეუბნებოდა, რომ ეს არის „კავკასუსის“ კაბელი და ჩაჭერი – ჩაჭრიდა და იმ კორპუსში, ცხადია, ინტერნეტი ითიშებოდა. კავკასუს ონლაინიდან ჯგუფი ოპერატიულად იგზავნებოდა, კაბელის აღდგენა ხდებოდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ იჭრებოდა. წარმოიდგინეთ, ადამიანები დამოკიდებულები არიან ინტერნეტზე, ზოგისთვის სამსახური იყო და სერიოზული დისკომფორტი შეექმნათ. ამ დროს, როდესაც ინტერნეტი ითიშებოდა, მანქანა შემოვიდოდა კორპუსის ეზოში და მეგაფონით იძახდნენ, რომ ვისაც ხარისხიანი ინტერნეტი უნდა, გადმოდით ჩვენთან – ძირითადად „სილქნეტი“ იყო, შეიძლება სხვა კომპანიებიც იყვნენ. ამის პარალელურად, სანადირაძეს – ოთხი შვილის პატრონს, კარგ ადამიანს, კარგ მეოჯახეს, ოჯახის წევრების ხელყოფით ემუქრებოდნენ. ამ წნეხში რომ მოექცა მამია სანადირაძე, მითხრა, სანამ მთლიანად გაანადგურებენ, ალბათ, ჯობია გავყიდოო. მამია სანადირაძეს ჰყავდა 20%-იანი ბრიტანელი მეწილე და როდესაც „კავკასუს ონლაინის“ გადაცემა თუ გაყიდვა ხდებოდა, 20 პროცენტში ინგლისელს გადაუხადეს 29 მილიონი დოლარი, ხოლო მამია სანადირაძეს 80 პროცენტში გადაუხადეს 13 მილიონი და ისიც არ გადაუხადეს ბოლომდე“...**

## გიორგი მამაცაშვილი



**„შუა რუსთაველზე ამხელა ქონების ხელში ჩაგდება არ იყო პატარა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტთა გუნდიც მზად იყო საიმისოდ, რომ შესულიყო ამ მოლაპარაკებაში და „სამშობლო“ გამოესყიდათ ჟურნალისტურ რედაქციებს, ამაზე რა თქმა უნდა იმ პერიოდის ხელისუფლება არ წამოვიდოდა და არც წამოვიდა, გადაიფორმეს ავტომატურად მთლიანად და შემდეგ თემურ უგულავას მისცეს 1 ლარად.**

**რედაქციები, მაპატიეთ ჟარგონისთვის, მაშინაც ფეხებზე ეკიდა იმ ხელისუფლებას და იმ ხელისუფლების წარმომადგენლებს და დღესაც ფეხებზე ჰკიდია, იმიტომ, რომ ვერასდროს ვერ ვიტყვი, რომ ეკა კვესიტაძე არის ჟურნალისტი. ეკა კვესიტაძე ე.წ. ჟურნალისტი, მისი მეუღლე უტიაშვილი მაშინ გახლდათ ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი და პიარის ამბებში იყო ჩართული, გამოვიდა 27 მაისს და განაცხადა, რომ არცერთი ადამიანი 26 მაისს რეზინის ტყვიით არ არის დაზიანებულიო, სიცრუეაო.**

**შემდეგ უფრო ცუდი განცხადებაც გააკეთა, დიდი-დიდიო ტაქსისტები თუ დაზიანდნენო, თითქოს ტაქსისტები ადამიანები არ იყვნენ და ის ნაგავი მართლა, ლევან ხაბეიშვილი, ამას ბოდიშის მოხდის გარეშე და უაპელაციოდ ვამბობ, ნაგავი ლევან ხაბეიშვილი, 2011 წლის 27 მაისს გამოვიდა და ნაგავი გავიტანეთ რუსთაველიდანო. აი, ამ ხალხის ხელში იყო ეს ქვეყანა და ამ ხალხს უნდა დღეს კიდევ აქ მორალის კითხვა. მეორე დღეს იდგნენ სისხლით მორწყულ რუსთაველზე და გიორგი ვაშაძე, ეს ბეყე, ჭიჭე ვაშაძე ორდენებს იღებდა სააკაშვილისგან“, –** ასე უპასუხა ჟურნალისტმა **გიორგი მამაცაშვილმა** პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის თეა წულუკიანის კითხვას, გამომცემლობა „სამშობლოდან“ მომუშავეების გამოდევნა ქონებრივი თემა იყო თუ აზრის ჩახშობის მცდელობა. როგორც მან აღნიშნა, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს ქვეყნის სათავეში იყვნენ ჯალათები.



## ბონდო მძინარაშვილი



**„გამომცემლობა „სამშობლოდან“ ხალხის გამოყრით რამდენიმე ასეულმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. მე ვგულისხმობ იმას, რომ პატარ-პატარა გამომცემლობები და რედაქციები იყო, მაგრამ იყო ასევე დიდი რედაქციები. ფაქტობრივად ხუთჯერ გამოიცვალა ოფისი გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“. გაზეთი „თბილისი“ ფაქტობრივად აღარ გამოდიოდა, ასევე, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაზეთი იყო, რომელშიც სერიოზული რეფორმა განახორციელა პაატა ნაცვლიშვილმა, იმ დროისთვისაც კი. საერთოდ გაუქმდა გაზეთები. საქართველოში გაზეთები აღარ არსებობდა თუ არ ჩავთვლით იმ გაზეთებს, რომლებიც გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში აღარ იყვნენ.**

**სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიმართ პრეტენზია მაქვს იმიტომ, რომ ქუჩაში გამოყარეს ადამიანები, რომლებსაც ზოგს ჰქონდა საპენსიო ასაკი და იმ პენსიას მაინც მიიღებდა, მაგრამ ქუჩაში უსამსახუროდ აღმოჩნდნენ ადამიანები. 10-ში გაიღვიძეს და იცოდნენ, რომ შენობაში უნდა მისულიყვნენ და იქ არავინ შეუშვებდა და 11-ში უკვე აღარ იცოდნენ სად უნდა წასულიყვნენ ეს ადამიანები. უცბად დაკარგეს სამუშაო ადგილები, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდნენ. ბევრი ადამიანი სახლიდან აღარ გამოსულა და ჩაქრნენ ის ადამიანები. ძალიან ტრაგიკული მდგომარეობა იყო იმ დროისთვის გამომცემლობა „სამშობლოში“, –** განაცხადა ბონდო მძინარაშვილმა.

## ბექა სივსივაძე



**„ამბავი გავრცელდა, რომ კოლმეურნეობის მოედნის მხრიდან ამოდიოდნენ სპეცრაზმელებით სავსე ავტობუსები. მე პირადად ჩავედი კოლმეურნეობის მოედანზე და საკუთარი თვალით ვნახე ავტობუსების კოლონა, რომელიც მოდიოდა და ბანაკდებოდა მიმდებარე ტერიტორიებზე. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ეს ღამე იქნებოდა დაძაბული“ – განაცხადა ჟურნალისტმა ბექა სივსივაძემ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, სადაც 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის მოვლენებზე ისაუბრა.**

**როგორც ბექა სივსივაძე იხსენებს, სპეცრაზმს გიორგი მამაცაშვილმა გამაფრთხილებლად უთხრა, „ჟურნალისტები ვართო“ და პრესბარათი ასწია, რა დროსაც ერთ-ერთი პირველი რეზინის ტყვია გიორგის კიდურებში მოხვდა. მისი თქმით, დაახლოებით 40-მდე ტყვია მოხვდა მას და გიორგის.**

**ასევე, იხსენებს, როგორ ჩაარტყეს ხელკეტი სპეცრაზმელებმა, რა დროსაც გაითიშა და როდესაც თვალი გაახილა წყლის გუბეში ჰქონდა თავი ჩარგული და ხელები პლასტმასის ხელბორკილით შეკრული.**



## ვახო ხუზმიაშვილი



ჟურნალისტმა **ვახტანგ ხუზმიაშვილმა** ტელეკომპანია „იბერიას“ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

**„გენერალურ პროკურატურაში ტარდება ბრიფინგი. მაშინდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი აკეთებს ასეთ განცხადებას, რომ „ომეგას“ ოფისებში და მათ შორის, ტელეკომპანია იბერიაში აღმოჩენილია სიგარეტის აქციზური მარკების საბეჭდი კლიშეები. თუმცა, კონკრეტული ვიდეომასალა არავის წარმოუდგენია.**

**ჩხრეკის საფუძველი გახდა ამ კომპანიებში მაშინდელი მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შევიდა სპეცდანიშნულების რაზმი „ომეგას“ ყველა ოფისში, თუმცა ტელეკომპანია „იბერია“ ჩუბინაშვილის 41 ნომერი აი, ამ ჩხრეკაში არსად არ იყო მითითებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფორმალური სახეც არ დაიცვეს და ისე შემოვარდნენ ტელეკომპანია „იბერიაში“. იქ პრაქტიკულად ისეთი სიტუაცია იყო, რომ ქვეყანაში ოპოზიცია დარჩენილი არ იყო.**

**შევარდნაძის ხელისუფლება წავიდა, რამდენიმე ოპოზიციის წარმომადგენელი იყო, მხარდაჭერასაც ვერ ვიღებდით. ოპოზიცია არ იყო ქვეყანაში, რევოლუციურ ეიფორიაში იყო საზოგადოება მაშინ და სულ რამდენიმე ადამიანი იყო მოსული. რამდენიმე საათში „იბერიას“ შენობიდან გავიდა სპეცდანიშნულების რაზმი, თუმცა „ომეგას“ ყველა ოფისში შეიყვანეს შინაგანის ჯარები“, –** განაცხადა **ვახტანგ ხუზმიაშვილმა**.

საკუთარი ინფორმაცია

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის კარიერული განვითარების განყოფილების ორგანიზებით, ფაკულტეტების ჩართულობით და სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, მასშტაბური ფორუმი — „დასაქმების კვირეული - 2025“ გაიხსნა, რომელშიც 170-მდე სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია, სტუ-ის ყველა ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ.**




# საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „დასაქმების კვირეული — 2025“ მიმდინარეობს

**ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.**

სტუ-ის ცნობით, დასაქმების ფორუმით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრძელებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დასაქმების კვირეულზე ყველა ის ახალგაზრდა მიიწვია, ვინც წელს სტუ-ის კურსდამთავრებული ხდება, ასევე ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

საუნივერსიტეტო „დასაქმების კვირეული – 2025“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ პირველ სასწავლო კორპუსში გახსნა და სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს წარმატებები უსურვა. რექტორის განცხადებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიზანია, დასაქმებისა და კარიერული ზრდის მიმართულებით, ქმედითი მხარდაჭერა აღმოუჩინოს ახალგაზრდებს და ისინი საქართველოს შრომის ბაზარზე მოქმედ ავტორიტეტულ ორგანიზაციებსა და ბიზნესკომპანიებთან საუნივერსიტეტო სივრცეში დააკავშიროს.

* * *

**„რამდენიმე წელია დასაქმების ფორუმმა შთამბეჭდავი მასშტაბები შეიძინა და ეფექტიანი საუნივერსიტეტო პლატფორმა გახდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მხარდასაჭერად, ასევე, უნივერსიტეტს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და ინდუსტრიებს შორის პარტნიორობის გასაღრმავებლად. მოხარული ვართ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე ქართული კომპანიების ასეთი სიმრავლეა. დასაქმების კვირეული დღეს გაიხსნა და ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო კორპუსში, ფაკულტეტების აქტიური ჩართულობით გაგრძელდება. საუნივერსიტეტო ფორუმზე დამსაქმებელი ორგანიზაციების ასეთი სიმრავლე ოპტიმიზმის რეალურ საფუძველს გვაძლევს.**

**კვირეულზე ველით ქვეყნის შრომის ბაზარზე მოქმედ 170-მდე ავტორიტეტულ ორგანიზაციას და ბიზნესკომპანიას, რომლებიც ახალგაზრდებს აქტიურ ვაკანსიებსა და ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამებს შესთავაზებენ. ეს პროფესიის მიხედვით დასაქმების უნიკალური შესაძლებლობაა. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა და მასთან დაკავშირებული მიდგომების საუნივერსიტეტო სივრცეში გააქტიურება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.**

**თავისთავად, აღნიშნული პროცესი მომავალი თაობის პროფესიონალ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ამავდროულად, მიზნად ისახავს უმაღლესი თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დამსაქმებელ ორგანიზაციებთან უწყვეტი კავშირის შენარჩუნებას და მათი რიგების შევსებას იმ ახალგაზრდა პროფესიონალებით, რომელთაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრეს. ორგანიზაციებსა და ინდუსტრიებს სწორედ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ კვალიფიციურ კადრებზე დაყრდნობით შეაქვთ უდიდესი წვლილი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაში. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ყველა ორგანიზაციას, რომელიც საუნივერსიტეტო დასაქმების ფორუმში მონაწილეობს“,** — აღნიშნა რექტორმა **დავით გურგენიძემ.**

როგორც სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის კარიერული განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ნატო ქათამაძე** ამბობს, დასაქმების ყოველწლიური მასშტაბური ფორუმის ჩატარება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა. ფორუმი, რომელმაც მიმდინარე წელს კვირეულის ფორმატი შეიძინა, საუნივერსიტეტო სივრცეში უკვე მეოთხედ ტარდება.

**„სხვა პრიორიტეტებთან ერთად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ჯანსაღი ამბიცია, ააშენოს ხიდი სტუდენტებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის. უნივერსიტეტის ერთ-ერთი და უმთავრესი საზრუნავი, მაღალხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვის გარდა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდა და მათი ღირსეულად დასაქმებაა. ვფიქრობთ, საუნივერსიტეტო სივრცეში კარიერული განვითარების მიმართულებით მძლავრი და ქმედითი პლატფორმა მოქმედებს.**

**უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ძალისხმევას არ იშურებს, ყველა ახალგაზრდას განვითარებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები შეუქმნას. აღნიშნულის ნათელი დადასტურება წლევანდელი საუნივერსიტეტო ფორუმიც არის, რომელიც ამჯერად, მასშტაბების გაფართოების გათვალისწინებით, უკვე კვირეულის სახით შევთავაზეთ ჩვენს ახალგაზრდებს. ვიმედოვნებთ, საუნივერსიტეტო ღონისძიება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მრავალ სტუდენტსა და კურსდამთავრებულს გაუკვალავს გზას და ღირსეულად დასაქმებაში მხარდაჭერას აღმოუჩენს“,** — აღნიშნავს **ნატო ქათამაძე.**

„დასაქმების კვირეული – 2025“-ს ვიცე-რექტორები **თამარ წერეთელი** და **თამარ ლომინაძე,** ფაკულტეტების დეკანები და აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, დამსაქმებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

**სტუ-ის ინფორმაციით, დასაქმების კვირეული, რომელშიც ჩართულია ყველა ფაკულტეტი, 23 მაისის ჩათვლით, მონაცვლეობით ტარდება სტუ-ის სასწავლო შენობებში: 19 მაისს – პირველ კორპუსში; 20 მაისს – მე-6 კორპუსში; 21 მაისი – მე-11 კორპუსში; 22 მაისს – მე-3 კორპუსში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული დასაქმების ფორუმის ფარგლებში, 170-მდე სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციის სტენდი იქნება განთავსებული. დამსაქმებელი ორგანიზაციები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, საერთო ჯამში, 1500-ზე მეტ ვაკანსიასა და სტაჟირების ანაზღაურებად პროგრამებს შესთავაზებენ. ახალგაზრდები ამომწურავ ინფორმაციას თუ კონსულტაციებს უშუალოდ ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიიღებენ, სასურველ ვაკანსიებს შეარჩევენ და განაცხადებს ადგილზე შეავსებენ.**

**23 მაისს კი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაცია „დასაქმების კვირეული – 2025“-ის შედეგებს შეაჯამებენ.**

# ალექსანდრე წულაძე „განათლების მსოფლიო ფორუმზე“

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე სამუშაო ვიზიტით ლონდონში იმყოფება, სადაც, სხვადასხვა ქვეყნის 150-ზე მეტ მინისტრთან ერთად, „განათლების მსოფლიო ფორუმში“ მონაწილეობს.**

ფორუმის ფარგლებში, განათლების მინისტრები და წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას განათლების სფეროს აქტუალურ საკითხებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით.

ალექსანდრე წულაძემ ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, არსებული სიახლეები და მიღწევები გააცნო. მან საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო გეგმებზე.

მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობას. როგორც მან აღნიშნა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წამყვანი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანია და „განათლების მსოფლიო ფორუმი“ სწორედ ამის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას განსაკუთრებით გამოყო დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობის გაფართოების საკითხი. კერძოდ, ტრანსნაციონალური განათლების შესაძლებლობები და თანამშრომლობის ფორმები ბრიტანულ უნივერსიტეტებთან. მისი განცხადებით, საქართველო და ბრიტანეთი აქტიურად მუშაობენ უმაღლესი განათლების საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის და ძალიან მალე ამ მიმართულებით ხელშესახები შედეგები გვექნება.

„განათლების მსოფლიო ფორუმი“ განათლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად ლონდონში იმართება და აერთიანებს განათლების მინისტრებსა და სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ფორუმი წარმოადგენს შესანიშნავ პლატფორმას, სადაც თემატურ საკითხებზე გამართული პლენარული სესიების ფარგლებში, მონაწილეებს საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების გაზიარების საშუალება აქვთ.





ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

## უსამართლობის თარეში

(დასაწყისი)

აკაკი მგელაძემ თითქმის მაშინვე გააკეთა მნიშვნელოვანი „აღმოჩენა“: ანტიპარტიულ აგენტურას მიაკვლია კომკავშირის რიგებში. მის შესახებ 1952 წლის 21 აპრილს კომკავშირის თბილისის საქალაქო კონფერენციაზე განაცხადა: **„ბარამიას მტრულ ჯგუფს თავისი აგენტურა ჰყავდა საქართველოს კომკავშირში ყოფილი ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნინა ჟვანიასა და მისი მომხრეების სახით, ხოლო კომკავშირის ცკ-ის ბიურომ და ყოფილმა პირველმა მდივანმა ზოდელავამ ვერ შენიშნეს კომკავშირულ ორგანიზაციაში ბარამიას ამ ანტიპარტიული ჯგუფის აგენტურის არსებობა. აქ წაკითხული ალკკ ცკ-ის დახურული წერილის ტექსტიდან შევიტყვეთ (თითქოს ალკკ ცკ-ის დახურული წერილი პარტიის ცკ-დან არ იყო ნაკარნახევი და რედაქტირებული-ა.ა.), რომ თბილისის რიგ რაიონებში არსებობდა ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაცია“.**

მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

1952 წლის 20 თებერვალს ნ. რუხაძემ დაიმოწმა ი. სტალინის მითითება და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის გრიგოლ კარანაძის დაპატიმრების წინადადება წამოაყენა. იგი იმავე ღამეს აიყვანეს.



**გრიგოლ კარანაძე**
**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი**

***გრიგოლ კარანაძე***

***(1902-1970). სახელმწიფო ორგანოებში იყო 1929 წლიდან, 1937-1938 წ.წ. პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანია, 1938-1942 წ.წ. – ყირიმის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შემდეგ – სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი, 1942-1943 წ.წ. – დაღესტნის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1943-1952 წ.წ. – საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი). 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის“ საქმეზე. 1953 წ. აპრილ-ოქტომბერში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა. 1953 წლის ოქტომბერში ორგანოებიდან დაითხოვეს, პენსიაზე იყო. 1957-1970 წ.წ. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.***

დააპატიმრეს პეტრე შარიაც.



**პეტრე შარია**
**საქართველოს კპ(ბ) ცკ მდივანი**

***პეტრე შარია***

***(1904-1979 წ.წ.). დაიბადა გალში. დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურა. 1921-1925 წ.წ. კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტია, 1929-1934 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგობს. იმავდროულად, 1931-1934 წ.წ. საქ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის („იმელი“) ფილიალის დირექტორის მოადგილეა, 1934-1936 წ.წ.- საქ. კპ(ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, 1936-1938 წ.წ.- საქ. კპ(ბ) ცკ-ის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე. 1938 წლის შემოდგომაზე სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად (ერთხანს სახკომის პირველ მოადგილედ) და სსრკ სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად გადასულმა ლ. ბერიამ თან წაიყვანა მოსკოვში და თავისი სამდივნოს უფროსობა ჩააბარა. 1939 წელს სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული ბიუროს უფროსია, 1940 წელს-სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, 1941-1943 წლებში-პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილე. შემდეგ საქართველოში აბრუნებენ: 1943-1948 წ.წ. საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანია. ამ პერიოდში შერისხეს კომუნისტისთვის (მით უმეტეს, ცეკას მდივნისთვის) შეუფერებელი მისტიკური ლექსის დაწერისთვის. 1948-1952 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე იყო. 1952-1953 წ.წ. ციხეში იჯდა „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმის გამო. განთავისუფლების შემდეგ, 1953 წლის აპრილ-ივნისში სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბერიას თანაშემწე და ძველებურად „სპიჩრაიტერია“. შეფის დამხობისთანავე, 1953 წ. ივნისის ბოლოს, დააპატიმრეს და 1954 წლის სექტემბერში სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. და მაინც, ლეფორტოვის ციხიდან ვლადიმერის ციხეში გადაყვანამდე დაწერა პოემა „პარტიას“. გაათავისუფლეს 1963 წ. მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. არჩეული იყო (1944წ.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისრის, 1945 წელს კი-გენერალ-ლეიტენანტის წოდება.***

ასევე ნ. რუხაძის წინადადებით, რომელიც იმოწმებდა კ. ჩარკვიანის მითითებას, 1952 წლის 21 თებერვალს დააპატიმრეს ცხაკაიას რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, იმ პერიოდში ტექნიკური კულტურების სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ალექსანდრე კვარაცხელია.

***ალექსანდრე (ალეკო) კვარაცხელია***

***(1909-1983 წ.წ.). ათშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი იყო. ზუგდიდის საშუალო სკოლის დასრულებისთანავე თბილისში, ამიერკავკასიის კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო ორწლიანი სკოლის მსმენელად აგზავნიან. შემდეგ წითელ არმიაში მსახურობდა პოლიტმუშაკად. 1937 წელს ჯარიდან გამოიწვიეს და ზუგდიდის მანქანა-სატრაქტორო სადგურის (მტს) დირექტორად დანიშნეს. წელიწადნახევარი იმუშავა ამ თანამდებობაზე და პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნად აირჩიეს, 1941 წლის დასაწყისში კი – წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად. მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა ომის დროს, რისთვისაც 1945 წელს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (ამ ორდენით ზურგის მუშაკებს იშვიათად აჯილდოვებდნენ). 1945 წ. ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად გადაჰყავთ. 1948 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იმავდროულად დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. 1953 წლის ივნისის ამბების შემდეგ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად აგზავნიან. 1978 წლამდე, მთელი 24 წელი უცვლელად ხელმძღვანელობდა ამ მეურნეობას, ერთ-ერთ საუკეთესოს საქართველოში. სამამულო ომის I ხარისხის ორდენის გარდა, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.***



**ალექსანდრე (ალეკო) კვარაცხელია**
**ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი**

იმავე დღეს აიყვანეს პარტიის წალენჯიხის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი მიხეილ კვარაცხელია, რომელიც იმ დროს არსად არ მუშაობდა.

***მიხეილ კვარაცხელია***

***(1910-1987 წ.წ.). დაიბადა წალენჯიხის რიონის სოფელ ნაკიფუში. მიღებული ჰქონდა უმაღლესი აგრონომიული განათლება. სხვადასხვა დროს მუშაობდა წალენჯიხის რაიონის მიწგანის გამგედ, აღმასკომის თავმჯდომარის მოდგილედ, ხობის მტს-ის დირექტორად. მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური გმირის წოდება. დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.***

21 თებერვალს დააპატიმრეს, აგრეთვე, ხობის რაიკომის პირველი მდივანი ***მიხეილ სიორდია,*** 23 თებერვალს კი – ცეკას ყოფილი ინსტრუქტორი (იმ დროისთვის ისიც მოხსნილი იყო სამუშაოდან) *მარიამ ჭკადუა*



**მიხეილ კვარაცხელია**
**წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი**

1952 წლის 6 მარტს ნ. რუხაძემ კვლავ დაიმოწმა ი. სტლინის მითითებს და დააპატიმრა კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი ინსტრუქტორი ალიოშა მირცხულავა.

***ალექსანდრე (ალიოშა) მირცხულავა***

***(1911-2009 წ.წ.). დაიბადა ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში. დაამთავრა სოფლის 7-წლიანი სკოლა, ზუგდიდის პედგოგიური ტექნიკუმი, მოგვიანებით – კპ(ბ) ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. მუშობდა კომკავშირის ხობის რაიკომის მდივნის მოადგილედ, შემდეგ – მდივნად, ალკკ მცხეთის, ხონის რაიკომის მდივნად, საქ. ალკკ ცკ-ის მეორე მდივნად. 1938-1941 წ.წ. საქართველო ალკკ ცკ-ი პირველი მდივანია, 1942-1943 წ.წ. – პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, იმავე წლებში იყო 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი, 1943-1950 წ.წ. – აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს (მინისტრთა საბჭო) თავმჯდომარე, 1950-1952 წ.წ. მოსკოვში მუშაობს სკპ(ბ) ცკ-ის ინსპექტორად. „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით შერიცხეს და ჯერ ტრესტ „საქტორფის“ მმართველად გადაიყვანეს, 1952 წლის მარტში კი დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ, 1953 წ. აპრილიდან სექტემბრამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია, ამ პოსტზე შეცვალა აკაკი მგელაძე. შემდეგ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზეა. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. ბოლომდე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა.***

1952 წლის 11 მარტს ნ. რუხაძის მითითებით დააპატიმრეს პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ნინა ჟვანია.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71

# ვაი, ვაი, ვაი!

საქართველოს რესპუბლიკა



ნინო ჟვანია
საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივანი



ალიოშა მირცხულავა
საქ. კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი.

**ამ წერილის ქვესათაური მიკარნახა ცნობილმა ეკონომისტ-პოლიტოლოგმა ირაკლი გოგავამ, რომლის ნათქვამს – „გადატრიალებას აწყობს აქტიური უმცირესობა, თუ უმრავლესობა დუმს!“ ამ გამონათქვამს (უფრო კი – შეფასებას) ხშირად იმეორებენ უცნობის სატელევიზიო გადაცემის – „უცნობის კიდობანი“ – რეკლამაში. უცნობი კი არც ისე უცნობია: იგი პოპულარული მომღერალი გია გაჩეჩილაძე გახლავთ.**

# „რატომ უშრებათ ჩვენს კაცებს ძარღვებში სისხლი“?!



## უმრავლესობის დუმილი ღალატია!

**მართალს გრძანებს ირაკლი გოგავა: მარტო სახელმწიფო გადატრიალება კი არა, ყველა ბოროტება უმრავლესობის დუმილით თანხმობის შედეგია, რაც ქართულ აზროვნებაში ამ ფრაზით გამოიხატება: „ეგ რა ჩემი საქმეა, მე ხომ არ მეხება!“ აი, ეს თითქოს უწყინარი „მე ხომ არ მეხება“ არის სწორედ არასახელმწიფოებრივი შეგნების, აზროვნების გამოხატულება და ეს არის არა ქვეყნის ღალატი, არამედ, პირველ ყოვლისა საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების სრული უცოდინარობა, რადგან ქვეყნის უბედურება, თუ ბედნიერება ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქის მდგომარეობაზე აისახება უწინარესად! ამის გარდა, თავისი სახელმწიფოს პატრიოტს არ შეიძლება საკუთარი სამშობლოსადმი მიკუთვნებულობის განცდა არ ჰქონდეს, რაც მისდამი სიყვარულისა და მისით სიამაყის საფუძველია. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სამშობლოსადმი მიკუთვნებულობის გრძნობა ჯერ ოჯახისადმი, შემდეგ საკუთარი უბნისადმი, მერე მშობლიური სოფლისა, თუ ქალაქისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებით იწყება. შენი სოფლისა, თუ ქალაქის შეურაცხყოფა საკუთარი პიროვნების შეურაცხყოფისა და შეგინების ტოლფასია. ასე იყო მუდამ და ასეა... ახლაც!**

ასე რომ არ იყოს, უკვე მეექვსე თვეა პარალიზებულია ჩვენი ქალაქის ცენტრი (ერთ დროს თბილისელთა სათაყვანებელი რუსთაველის გამზირი) სადღეღამისო მიტინგებითა თუ დემონსტრაციებით. მერე და რას აპროტესტებენ ეს ქრონიკული მიტინგით დაავადებულები? უმრავლესობის მიერ გაკეთებულ არჩევანს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე! რატომ თუ იცით? იმიტომ, რომ ეს შედეგი არ მოსწონებიათ ევროპარლამენტის კორუფციაში ყელამდე ჩაძირულ ჩინოვნიკებსა და ამერიკელ ვიღაც გუშინდელი მონათმფლობელების შთამომავლებს, კონგრესსა თუ სენატში. იმ ფულის ტომრებს, როგორც დაბეჯითებით ამტკიცებენ კომპეტენტური ორგანოები, ბლომად ფული მიუციათ აქ მცხოვრები ქართული გვარების მატარებელი უსამშობლოებისათვის, რომლებიც სადღეღამისო მიტინგებზე დგანან და ხელისუფლების გინებით იფხანენ ქეციან გულებს, თან ამ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათ მხარდამჭერებს „რუსებს“ ეძახიან, რადგან „რუსი“, ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს, გინება ჰგონიათ!!!

როგორ მინდა, რომ მე შემაგინოს ვინმემ, იქ რომ გავივლი მაშინ და ჩავუტარებ მათ კარგ გაკვეთილს გინებაში: ქართულად ხომ ვიცი და ვიცი გინება, რუსულად სამსიტყვიანი კი არა (**иди на хрен!**), თორმეტსართულიანი გინებები ვიცი, რომლის დამახსოვრების ტვინი არა მგონია იქ რომელიმეს ჰქონდეს („პოეტ“ ამაღლობლის გარდა)!

ეს ისე, ლირიკულ გადახვევად ჩამითვალეთ! სერიოზულად კი, სად არიან სოლოლაკელი, თუ მთაწმინდისუბნელი, ვერელი თუ ვაკელი, ნახალოვკელი თუ კუკიისუბნელი, მაიდნელი თუ პლეხანოველი, დიდუბელი თუ საბურთალოელი ვაჟები? საკუთარი ქალაქის ასეთ შეურაცხყოფას აპატიებდნენ ვინმეს? თანაც მათ ისეთ „ლიდერებს“, როგორებიც არიან ვიღაც მელიები და ჭიჭეები, ვიღაც კუპონები და ხაზეები, ბურჭულები და ხაბაზები, გომბიოების სახელებსა და გვარებს აღარ ვახსენებ! ერთ დღეს გამოვიდოდნენ ქალაქელი ჯიგრები და ცხვირები არ შერჩებოდათ მთელი არც ერთს, თავიანთი „ევროპელობა“ ისე დაავიწყდებოდათ, რომ ელიაზე დაუწყებდნენ ძებნას ბრიუსელს. ვერც ვერავინ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლას გაუბედავდა მათ და ვერც პიროტექნიკის მაშხალებისას, რადგან უკან შეტენიდნენ ცეცხლმოდებულ საგნებს მათ ისე, რომ არც ამერიკის ელჩს შეეკითხებოდნენ რაიმეს და არც „სამუდამოდ“ თვითგამოცხადებულ, გაურკვეველი ეროვნებისა და წარმომავლობის პრო-პრო, თუ პრე-პრეზიდენტს!

მაგრამ ძველი თბილისელები ეტყობა აღარ არიან! ერთი კორკოტა და მისი ორიოდე ძმაკაცი იმუქრებოდნენ, მაგრამ ეტყობა ვერავინ აიყოლიეს!

**მაინც „რამ გაუშროთ ჩვენს კაცებს ძარღვებში სისხლი?“ – ჩიოდა ბრეხტის ცნობილი პიესის პერსონაჟი. მე ამას არ ვკითხულობ, რადგან კარგად ვიცი ამის მიზეზი: საშოვარსა და შოვნაზეა გადაგებული დიდ-პატარა და თბილისის სიყვარულისათვის ვინღა იცლის. ვისაც ცოტა მოძრაობა შეუძლია, უცხოეთშია გაქცეული „იაფი ფულის“ საშოვნელად, ვინც აქ დარჩა, ქვეყნისა თუ თავისი ქალაქისათვის ჩხუბის კი არა, საკუთარი თავის დაცვის სურვილიც აღარ აქვს, ურჩევნია, ვიღაც ჭკუანაღრძობი ხალხის წარმოდგენების სანახავად წავიდნენ ე.წ. ვითომ თეატრებში, სხვათა შიშველი უკანალებისა და გენიტალიების სანახავად, რათა მერე მასტურბაციით იჯერონ გული, ვირტუალურ სამყაროში ყოფნას შეჩვეულებმა.**

უმრავლესობა დუმს! თუმცა, თუ ელემენტარულ არითმეტიკას გავიხსენებთ, ის ე.წ. საზოგადოება, რასაც ჩვენ უმრავლესობას ვეძახით, რეალურად უმრავლესობა კი არა, გათითოკაცებული ხალხია.

**რატომ არის გათითოკაცებული? ვერ და არ ერთიანდებიან იმის გამო, რომ წესიერი, მართალი, სინდის-ნამუსის მქონენი და კეთილები არიან. სიკეთე თვითონ, ჩვენი ძალისხმევის გარეშეც იმარჯვებსო ბოლოს, რადგან სიკეთე ღვთიურია, ბოროტება კი – ეშმაკეული! ასე სჯერათ ქართველებს!**

არასწორია ასეთი ფიქრი! უფალი აერთიანებს ადამიანებს, ეშმაკი კი – თიშავს მათ! იგი მხოლოდ ბოროტ ძალას აერთიანებს, რადგან ერთი ბოროტი კაცი ვერასოდეს გაიმარჯვებს ერთ კეთილ კაცზე, რადგან კეთილ კაცთან უფალია. ვინმეს თუ გინახავთ ქუჩაში ერთი ხულიგანი? ვერც ნახავდით! ხულიგნები სამნი მაინც უნდა იყვნენ. სამი ხულიგანი მთელ ავტობუსს, მეტიც, მთელ ქუჩას დაატერორებს.

აბა, საშველი არ ყოფილა და ისაა, სწორედ!

არა, საშველი არის! საზოგადოების მამაცმა წევრებმა უნდა ითავონ გათითოკაცებული კაცების გაერთიანება. მაინცდამაინც დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის გამოჩენას ნუ დაველოდებით! არც სტალინი გამოჩნდება მალე, რომ მოუსავლეთში გაუშვას ნეოფაშისტური ლიბერალიზმის აგენტები ლეიბა ბრონშტეინის, ანუ იგივე ტროცკის მეთაურობით. სწორედ ტერორიზმია დღევანდელი ევროპული თუ აშშ-ში გაჯეჯილებული ნეოლიბერალიზმი, რომლებმაც გააცოცხლეს ტროცკისტული ლოზუნგი **„ძირს სირცხვილი!“** და პატრიოტიზმი მავნებლობად მონათლეს! სტალინმა ნახევარი საუკუნით იხსნა ნეოლიბერალური სატანისტური იდეოლოგიისაგან საბჭოთა კავშირი და ევროპა. ჩვენ რომ მკვდარი გვეგონა, ის ტროცკისტული სატანიზმი გაცოცხლდა და როგორც ცხონებულმა რეიგანმა თქვა: თუ ფაშიზმი კვლავ მოევლინა მსოფლიოს, მას ლიბერალური სახე ექნებაო. ზუსტად ასეთია დღევანდელი ლიბერალური, ანუ ნეოლიბერალური მოძრაობა – „იდეოლოგია“, ლგბტ თემის წევრების სრული „თავისუფლება“. ამ „თავისუფლებას“ ხომ ტერორითა და გაუგონარი სისასტიკით ნერგავენ ნეოლიბერალიზმის ადეპტები.

იხ. 9 გვ.



მერე და რას აპროტესტებენ ეს ქრონიკული მიტინგით დაავადებულები? უმრავლესობის მიერ გაკეთებულ არჩევანს, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე! რატომ თუ იცით? იმიტომ, რომ ეს შედეგი არ მოსწონებიათ ევროპარლამენტის კორუფციაში ყელამდე ჩაძირულ ჩინოვნიკებსა და ამერიკელ ვიღაც გუშინდელი მონათმფლობელების შთამომავლებს, კონგრესსა თუ სენატში.

***ნინა ჟვანია***

***(1917-1990 წ.წ.). დაიბადა ქ. ფოთში. დაამთავრა მშობლიური ქალაქის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ტექნიკუმი. 1937 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის საგეგმო სექტორზე, იყო სანიმუშო სტუდენტი და აქტიური კომკავშირელი. 1938 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაამტკიცეს ჯერ საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად, მერე – განყოფილების გამგედ. 1939 წლის იანვარში ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, იმავე წლის ნოემბერში საქ. ალკკ ცკ-ის მდივნად გადმოიყვანეს. 1948 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა: სხვადასხვა დროს ეკავა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორის, თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის, თბილისის კომიტეტის მდივნის თანამდებობები. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. 1956 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის კულტურისა და მეცნიერ მუშაკთა ფილიალის დირექტორად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს თბილვაჭრობის დირექტორად, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორად. 1964 წლის ივლისში გადაიყვანეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს, სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა. დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი ვარსკვლავის, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.***

20 მარტს უშიშროების მუშაკებმა დააპატიმრეს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ფოთის ყოფილი ქალაქკომის პირველი მდივანი ***გრიგოლ კოკაია...***

1952 წელს აპრილის რიცხვებში, საქ. კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, დაპატიმრებები გახშირდა. ნ. რუხაძემ „ინსტანციიდან“ და ცეკას ახალი ხელმძღვანელობიდან მიღებული მითითებები დაიმოწმა და წინადადება წამოაყენა, მომზადებულიყო ცნობა იმ პირთა დაპატიმრებებზე, რომლებიც საქმეში გადიოდნენ „ბარამიას ჯგუფის“ დაპატიმრებულ წევრთა ჩვენებებით.

(გაგრძელება იქნება)

გრიტანული გაზეთის **„ფაინენშელ თაიმსის“ (Financial Times)** 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია მოწინავე სტატია სათაურით **„დონალდ ტრამპმა უკრაინა მიატოვა? ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ აშშ-ის ლიდერი, როგორც ჩანს, მზად არის უარი თქვას თავის მცდელობებზე რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების მიზნით“** (ავტორები – **გაი ჩეზანი** ნიუ-იორკიდან, **ქრისტოფერ მილერი კიევიდან, ჰენრი ფოი** ბრიუსელიდან).

FINANCIAL TIMES

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

# დონალდ ტრამპმა უკრაინა მიატოვა?



**ვლადიმერ პუტინთან გამართულმა სატელეფონო საუბარმა დონალდ ტრამპს ნათელი მომავლის იმედი ჩაუნერგა რუსეთსა და აშშ-ს შორის „ფართომასშტაბიანი ვაჭრობის“ საკითხში, „როცა კატასტროფული სისხლიანი ბრძოლები დასრულდება“.**

იური უშაკოვმა, რუსი ლიდერის თანაშემწემ საგარეო პოლიტიკაში, თქვა, რომ პრეზიდენტებს შორის გამართული ორსაათიანი საუბარი „იმდენად მეგობრული იყო, რომ არცერთს არ სურდა ყურმილის დადება“. უკრაინელებსა და ევროპელებს კი ასეთი საუბარი ღალატად მოეჩვენათ.

საქმე მარტო იმაში არაა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, არანაირ ზეწოლას არ ახდენდა რუს კოლეგაზე ცეცხლის შეწყვეტის მისაღწევად: გაშიფრული სატელეფონო საუბრის მიხედვით, დონალდ ტრამპმა ნათლად მიანიშნა, რომ იგი უარს ამბობს შუამავლის როლზე ომის შეწყვეტის ძალისხმევაში და მოსკოვს და კიევს ბედის ანაბარად ტოვებს – თქვენი პრობლემები თქვენ თვითონვე გაარკვიეთო.

უკრაინის პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა ასეთი საუბრის ნეგატიური შედეგების შესახებ: **„ყველა ჩვენგანისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ შეერთებულმა შტატებმა სამშვიდობო მოლაპარაკებისგან დისტანცირება არ მოახდინოს – იმიტომ, რომ ერთადერთი პიროვნება, ვინც ასეთ სიტუაციაში მოგებული რჩება, ვლადიმერ პუტინია“,** – აღნიშნა მან დონალდ ტრამპთან სატელეფონო საუბრის შემდეგ.

დამკვირვებლებისათვის აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება რუსეთისაკენ აშკარა შებრუნების მომენტი გახდა, რუსეთ-უკრაინის სამწლიანი ომის განმავლობაში. თვითონ განსაჯეთ: პრეზიდენტი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას ხმამაღლა ჰპირდებოდა ომის შეწყვეტას ინაუგურაციიდან მეორე დღეს, ახლა, როგორც ჩანს, „ხელებს იბანს“ და უკრაინას მტაცებლის ანაბარად ტოვებს. 19 მაისის სატელეფონო საუბარმა დაადასტურა ევროპელთა ცუდი წინათგრძნობა: ამერიკის ლიდერი, რომელიც პუტინის მაცდუნებელ შეგონებებს დაჰყვა, მზად იყო, მოსკოვის მხარე დაეჭირა და კიევი გაეყიდა.

დონალდ ტრამპს აზრიც კი დაებადა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო შუამავალი აშშ-ის ნაცვლად – რომის პაპი ლეო XIV. **„ვატიკანმა განაცხადა, რომ ძალიან დაინტერესებულია მოლაპარაკების გამართვაში“,** – დაწერა **დონალდ ტრამპმა** Truth-ის სოციალურ ქსელში.

პუტინთან საუბრის შემდეგ ტრამპმა ევროპელ ლიდერებს დაურეკა და, როგორც საქმის კურსში მყოფი ორი ანონიმი პიროვნება ამბობს, მათ მიანიშნა არა მარტო იმაზე, რომ (შუამავლობიდან) გადის, არამედ იმაზეც, რომ მას სურვილი არ აქვს კრემლზე ზეწოლა მოახდინოს. აშკარაა, რომ გუშინდელი სატელეფონო საუბარი დონალდ ტრამპისათვის ერთგვარ პრორუსულ „შემობრუნებით წერტილად“ იქცა. არადა, ყველამ იცის, რომ ერთი კვირის წინ იგი შეუერთდა იმ დასავლელ ლიდერებს, რომლებიც სადამსჯელო ზომებით იმუქრებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, თუ კრემლი ცეცხლს დაუყონებლივ არ შეწყვეტდა და მათ მოთხოვნას არ შესრულებდა.

თვითონ დონალდ ტრამპმა რუს კოლეგასთან საუბრის შემდეგ, მოგვიანებით, ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღიარა, რომ მას არაფერი არ უთქვამს პუტინისათვის თავის წინა მოთხოვნაზე, რომელიც უკრაინის სამოქალაქო ობიექტების დაბომბვების შეწყვეტას ეხებოდა. **„ტრამპთან სატალეფონო საუბარი პუტინის გამარჯვებას ნიშნავს“,** – თქვა **სტივენ პაიფერმა,** უკრაინაში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა, რომელიც ამჟამად სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის კვლევით ცენტრში მუშაობს, – **„ამერიკის ლიდერმა ნათლად მიანიშნა, რომ ცეცხლის შეწყვეტა უახლოეს ხანში არ მოხდება, შესაბამისად, რუსეთს შეუძლია ომი გააგრძელოს. არანაირი სანქციები მიღებული არ იქნება“.**

ტრამპმა და პუტინმა, როგორც ჩანს, მოილაპარაკეს იმაზე, რომ რუსეთი და უკრაინა თვითონ გამართავენ პირდაპირ მოლაპარაკებას და სტამბოლის შეხვედრებს გააგრძელებენ, რომელიც გასულ პარასკევს დაიწყო. სატელეფონო საუბრის შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ მზად არის, უკრაინასთან ერთად იმუშაოს ისეთი მემორანდუმის შესამუშავებლად, რომლის საფუძველზე სავარაუდო სამომავლო სამშვიდობო შეთანხმება დაიდება: **„დოკუმენტში შეტანილი იქნება ის ძირითადი პრინციპები, რომელიც სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველი გახდება. მასვე დაეფუძნება ცეცხლის შესაძლო შეწყვეტის პირობებიც დროის გარკვეულ პერიოდში“.**

ყველა გაკვირვებული და გაოცებული დარჩა – ვერავინ ვერ მიხვდა, რომელ მემორანდუმზე ლაპარაკობდა რუსეთის პრეზიდენტი.

უკრაინელმა მაღალჩინოსანმა ჩინოვნიკმა (რომელიც სატელეფონო საუბართან დაკავშირებით საქმის კურსშია), მემორანდუმის იდეასთან მიმართებით თქვა, რომ მან არაფერი არ იცის ამის შესახებ და ვერც იმას ხვდება, თუ რატომ თქვა პუტინმა ეს ყველაფერი. თავის მხრივ, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ორშაბათს, გვიან ღამით, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მემორანდუმის“ თაობაზე მისთვის არაფერი „არ არის ცნობილი“.

**„რუსები მოლაპარაკებას ძალიან დაბალ დონეზე აწარმოებენ, ხელში სხვადასხვა დოკუმენტებს გვაჩეჩებენ და პარალელურად საომარ მოქმედებებს აგრძელებენ“,** – თქვა **გილ ტეილორმა,** რომელიც აშშ-ის ელჩი იყო უკრაინაში 2006-2009 წლებში, – **„კიდევ რამდენ ხანს მოითმენს დონალდ ტრამპი მოლაპარაკების გაჭიანურებას?“.**

როგორც ზოგიერთი ექსპერტი თვლის, გასაგებია, რომ დონალდ ტრამპი უკვე ცდილობს, თავი აარიდოს ომის შეწყვეტის ძალისხმევას. **„რუსეთისა და უკრაინის მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ დონალდ ტრამპი მეორე მხარეს მიუსიოს, რაც სამშვიდობო იდეას ანგრევს“,** – ამბობს **პიტერ სლეზკინი** სთიმსონის ანალიტიკური ცენტრიდან, – **„თუ დონალდ ტრამპი იმას მაინც შეძლებს, რომ ორივე მხარე ერთმანეთს შეახვედროს და თვითონ კი თამაშიდან გავიდეს, შესაძლოა ესეც საკმარისი იყოს, რომ საქმე ადგილიდან დაიძრას“.**

**„მაგრამ აშკარაა, რომ დონალდ ტრამპი უფრო მეტად არის დაინტერესებული აშშ-რუსეთის ერთმანეთთან დაახლოებით, ვიდრე რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტით“,** – ამბობენ სხვა ექსპერტები. **„ამჟამად დონალდ ტრამპის თვითმიზანს, როგორც ჩანს, უფრო მეტად რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის გაუმჯობესება წარმოადგენს“,** – ამბობს **ენდრიუ ვაისი,** კარნეგის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, – **„ყველაფერი ამ მიზნის მიღწევას ემსახურება“.**

**ვლადიმერ პუტინის აშკარა მზადყოფნა დროის გაჭიანურებაზე იმას ნიშნავს, რომ კრემლი თავის დამაჯერებელ განწყობას გამოხატავს – საომარი მოქმედებები მის სასარგებლოდ ვითარდება, ფრონტის ყველა მონაკვეთზე სამხედრო პროგრესი შეიმჩნევა.**

მართლაცდა, როგორც უკრაინის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, მძიმე ბრძოლები განახლდა ქალაქ პოკროვსკთან და მის ჩრდილოეთ მდებარე ქალაქ ტორეცკთან. გზები, რომლებიც ამ ქალაქებს, ლოჯისტიკის თვალსაზრისით, „დიდ მიწასთან“ აკავშირებთ, მუდმივად დაბომბვის ქვეშ არიან. **„უკრაინის არმიის ნაწილები ფრონტის ამ უბანზე მტრის გააფთრებულ შემოტევებს იგერიებენ“,** – ამბობენ უკრაინელი სამხედროები.

უკრაინულმა ანალიტიკურმა ჯგუფმა „დიფ სთეითმა“ (DeepState), რომელსაც ახლო კავშირი აქვს უკრაინის სარდლობასთან, შექმნილ სიტუაციას კიევისათვის „არაკეთილსაიმედო“ უწოდა და განაცხადა, რომ რუსეთის არმია ნელნელა დონეცკის ოლქის ადმინისტრაციულ საზღვარს უახლოვდება. ეს ოლქი ერთ-ერთია იმ ოთხი ოლქიდან, რომლის ანექსია რუსეთმა განახორციელა, მაგრამ მის ადმინისტრაციულ ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს. „დიფ სთეითის“ მიერ შედგენილი რუკის მიხედვით, რუსეთის არმია დღეს საზღვრიდან მხოლოდ ხუთ კილომეტრის დაშორებით იმყოფება.

მოსკოვის მთავარ სამხედრო მიზანს ამჟამად დონეცკის ოლქის დარჩენილი ტერიტორიის დაპყრობა წარმოადგენს, სხვა სამ ოლქთან (ხერსონთან, ზაპოროჟიესთან, ლუგანსკთან) ერთად. ამ სამხედრო ამოცანის შესასრულებლად რუსეთის არმია მძიმე დანაკარგებს განიცდის. სწორედ ამიტომ, სტამბოლის მოლაპარაკების დროს, რუსებმა უკრაინელებს აღნიშნული ოლქებიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვეს.

რობერტ ლი, საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის (FPRI, ფილადელფია) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამბობს, რომ რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთის ცალკეულ უბნებზე მართლაც წინ მიიწევს, ასევე შეიმჩნევა არმიაში ახალწვეულთა მატებაც.

**„ვფიქრობ, რომ რუსეთს ამ ეტაპზე ბრძოლის გაგრძელება შეუძლია. მიმდინარეობს არმიის გაძლიერება ტექნიკით და ახალწვეულებით. კრემლი თვლის, რომ ფრონტზე თავისი ჯარების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია“.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



# პრეზიდენტი საჩუქრით აღფრთოვანებულია

**კატარის ემირმა ამერიკის პრეზიდენტს ძალიან ძვირადღირებული თვითმფრინავი აჩუქა. ესაა ბოინგის ყველაზე დიდი მოდელი, 747, რომელიც, კატარის ემირმა 13 წლის წინ შეიძინა და პირადი ვოიაჟებისთვის გადააკეთა. ამ თვითმფრინავს მფრინავ სასახლეს უწოდებენ, რომელშიც მდიდრულად მოწყობილი საძინებელი ოთახები, სამუშაო კაბინეტები, აუზი და კომფორტის სხვა ზონებია განლაგებული. თვითმფრინავი 400 მილიონი დოლარი ღირს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: კატარის ემირმა შეიტყო, რომ ამერიკის პრეზიდენტის თვითმფრინავი მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა ხოლმე და ტრამპს საჩუქრად ეს უნიკალური ბოინგი შესთავაზა.**

# უმრავლესობის დუმილი ღალატია!

(მეშვიდე გვერდიდან)

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა დეკრეტი გამოსცა „დედის", „მამის", „ძმის", „დის" ხსენების აკრძალვის შესახებ! ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის! მსოფლიომ იცის! ბლინკენის „უფროსმა", პრეზიდენტმა ბაიდენმა საჯაროდ განაცხადა: ტრანსგენდერები ამერიკის სახეაო (ტრანსგენდერი ის „კაცია", კაცის ფიზიკური ნიშნების მიუხედავად რომ აცხადებს, ქალი ვარო და კაბა აცვია და ტუჩები პომადით აქვს მოხატული!) ბაიდენის პრეზიდენტობის ოთხწლედში აშშ-ს არმიაში 18 000 (თვრამეტი ათასი) ტრანსგენდერი იყო, მათი ნახევარი საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრები იყვნენ, ერთი გენერალიც გახლდათ. ტრამპმა მოსვლისთანავე დაითხოვა ჯარებიდან ტრანსგენდერები, მაგრამ როგორ დამთავრდება მისი ბრძოლა ლგბტ თემის უზარმაზარ ერთიანობასთან, ჯერ მთლად გარკვეული არ არის.

**ერთი დიდი უბედურება, რაც უმრავლესობის დუმილს მოჰყვა შედეგად, ეს არის გენდერული თანასწორობის ჯერ ისევ ერთობ გაჯეჯილებული იდეა!**

პირადი ინიციატივით ბევრი გამოკითხვა მაქვს ჩატარებული იმის თაობაზე, იცის თუ არა ხალხმა, რას ნიშნავს გენდერი. არც მე ვიცოდი მაშინ, როდესაც სქესობრივი აღზრდის აუცილებლობა დადგა საბჭოთა სკოლის წინაშე და ჩვენს ინსტიტუტში ამ საქმეს სათავეში ჩაუყენეს ფსიქოლოგი, უკეთილშობილესი პიროვნება, ჩვენი ყველას მეგობარი **როზა ირემაშვილი.** იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებით საინსტიტუტო სემინარებსა თუ კონფერენციებზე და არც თუ იშვიათად ახსენებდა გენდერს. ვერ ვეკითხებოდი, რა ჯანდაბაა გენდერი-მეთქი, ჩემი უვიცობა რომ არ გამემჟღავნებია და როზა ჩამეგდო უხერხულ მდგომარეობაში, რადგან „გენდერი" მას სქესი ეგონა. მე ძალიან მეპარებოდა ეჭვი, რომ გენდერული თანასწორობა ქალისა და კაცის უფლებრივ თანასწორობას გულისხმობდა და ჩაგვრისაგან ქალების სრულ ემანსიპაციას ითხოვდა მიზნად. ახლა ქალბატონი როზა ცოცხალი აღარ არის. გარდაცვალებამდე ათიოდე წელი ავადმყოფობდა და ტელეფონით თუ ვეხმიანებოდით ერთმანეთს, ცხადია, გენდერულ პრობლემებზე აღარ გვისაუბრია. იმედი მაქვს, იმდროინდელ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უკვე შემოაღწევდა „გენდერის" ცნების შინაარსი და, ალბათ, ჩვენმა მეგობარმაც იცოდა ეს.

**ხალხის მასამ კი არც მაშინ და არც ახლა იცის, რა არის „გენდერული თანასწორობა". არ იცის და აუცილებლად უნდა იცოდეს, რადგან არცოდნა ყოველთვის როდია არცოდვა! ამ შემთხვევაში არცოდნა „გენდერისა" და გენდერული თანასწორობისა, უპატიებელი ცოდვაა!**

ტრამპი რომ გაპრეზიდენტდა მეორედ, ანუ მის „მეორედ მოსვლას" დიდი იმედით ელოდებოდა უმრავლესობა (გათითოკაცებული, ცხადია!), იმედი ჰქონდათ, იგი ისტორიულ აღმოჩენას გააკეთებდა და გადაარჩენდა გადაგვარებისათვის განწირულ ქვეყნებს. ამ იმედით იყო შეპყრობილი ქართველი ხალხის ე.წ. უმრავლესობაც (გათითოკაცებული, რა თქმა უნდა!) მოხდა „სასწაული". ტრამპმა გაპრეზიდენტებისთანავე გააკეთა „ისტორიული აღმოჩენა" და მაშინვე გაუმხილა მსოფლიოს: კაცი კაცია და ქალი ქალიაო. ქალი ვერასოდეს გახდება კაცი, კაცი ვერასოდეს გახდება ქალიო! ჩვენშიც და სხვაგანაც შვებით ამოისუნთქეს კეთილმა ადამიანებმა!

მცოდნე მკითხველმა მაპატიოს, მაგრამ აუცილებლად უნდა განვუმარტო მკითხველს ეს ყბადაღებული „გენდერი", რომელზეც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და, კონკრეტულად, სექსოლოგების გარდა ცოტა ვინმეს თუ აქვს მიახლოებული წარმოდგენა „გენდერებზე".

**მაშ, რა არის გენდერი? ტრამპის „გენიალური" დასკვნის შემდეგ – „კაცი კაცია და ქალი ქალიაო", – რომ თქვა, სიხარულით გადარეული ხელისუფლების მხარდამჭერი ჟურნალისტები უკვე „უშიშრად" შეესივნენ ოპოზიციურ ლიდერებს და ტრამპის „დასკვნის" მხარდაჭერა მოსთხოვეს. პირადად ვუცქირე, როგორ მიუვარდნენ ცნობილ „ქათამს" ნიკა გვარამიას და ყველამ ერთად დააყარა კითხვა: „ბატონო ნიკა, რამდენი სქესი არსებობს? რამდენი სქესი არსებობს"? გვარამია არ გაექცა ამ უვიც ჟურნალისტებს და მშვიდად უპასუხა: სქესი არსებობს ორი – მდედრობითი და მამრობითი, ანუ ქალი და კაცი! თქვენ ალბათ გენდერი გაინტერესებთ, მაგრამ ეგ სულ სხვა რამ არისო. მიბრუნდა და წავიდა, ენაჩავარდნილი „შემტევი" ჟურნალისტები გაშტერებულები დარჩნენ, რადგან ამგვარ პასუხს არ ელოდნენ. გვარამიამაც იცოდა, რომ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ გენდერზე.**

მაშ ასე: გენდერი არის საკუთარი სქესის ინდივიდუალური აღქმა! ლგბტ სივრცეში გენდერის რაოდენობაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ზოგის აზრით 50 სხვადასხვა გენდერია, ზოგი 67-ს ასახელებს. მე ამდენი არ ვიცი. მე ვიცი ყველაზე მეტად აღიარებული არის გეი (მამათმავლობა), ლესბოსელობა (დედათმავლობა), ბისექსუალები (რომლებსაც კაცთანაც და ქალთანაც შეუძლიათ სქესობრივი კავშირი), ტრასგენდერი (ანატომიურად, ანუ, ფიზიკურად კაცია, მაგრამ თავი ქალად მიაჩნია), პედოფილია (მცირეწლოვან ბავშვებთან სექსის მოყვარულნი), ნეკროფილია (მიცვალებულთან სექსის მოსურნენი), ზოოფილია (ცხოველებთან სექსის მოწადინენი), ეკოფილია (ხემცენარეებთან სქესობრივი ლტოლვა), ნარცისიზმი (საკუთარი თავისადმი სქესობრივი ლტოლვა). ამგვარი გენდერული მრავალფეროვნების წარმომადგენლები მინახავს უცხოურ სატელევიზიო გადაცემებში.



ბაიდენის პრეზიდენტობის ოთხწლედში აშშ-ის არმიაში 18 000 (თვრამეტი ათასი) ტრანსგენდერი იყო, მათი ნახევარი საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრები იყვნენ, ერთი გენერალიც გახლდათ. ტრამპმა მოსვლისთანავე დაითხოვა ჯარებიდან ტრანსგენდერები, მაგრამ როგორ დამთავრდება მისი ბრძოლა ლგბტ თემის უზარმაზარ ერთიანობასთან, ჯერ მთლად გარკვეული არ არის.

ახლა, გენდერული თანასწორობა რაღააო, იტყვის ზოგიერთი და არც გამიკვირდება ასეთი კითხვა, რაღაა და, უნდა გამოირიცხოს მათი დისკრიმინაცია, ისინი უნდა მივიღოთ ისეთებად, როგორებიც არიან. მაგალითად პედოფილი, ნეკროფილი, ზოოფილი ჩვენთან ერთად უნდა იჯდეს წვეულებაზე და ფეხზე ადგომით უნდა ვადღეგრძელოთ, მაგალითად ნეკროფილი. მისი სადღეგრძელოს შინაარსს მოფიქრება უნდა? მაგალითად ასე: ღმერთმა არ მოგიშალოს გაყინული მკვდრების სიყვარული, რომლებსაც მორგში სარეცელს უზიარებთ!

**ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს, რომლებიც ამ ჭკუანაღრძობებს თქვენს თანაბარ და თანამეინახედაც აქცევთ!**

**აი, ეს არის გენდერული თანასწორობა!**

**ამ მახინჯებმა ნორმალურ ადამიანებს, რომელიც უფალმა შექმნა და მათ ქალი და კაცი უწოდა (თუმცა სინამდვილეში ორივეს ზოგადი სახელიცნება „კაცია", ხოლო მდედრობითი სქესისა „დედაკაცია", მამრობითი სქესისა „მამაკაცი"), ჰეტეროსექსუალები უწოდეს, რათა ისინი ჰომოსექსუალებს, ბისექსუალებსა და სხვა მისთანებთან გაეთანაბრებინათ. ეს მარტივი ილეთი „გადაყლაპა" საზოგადოებამ თავისი სიბრიყვისა და ულმერთობის, ანუ მცირემორწმუნეობის გამო.**

**დროა, უმრავლესობა მართლა უმრავლესობა გახდეს და იბრძოლოს ენითაც და მკლავითაც! სხვაგვარად ჩვენი გზა მიდის „არსაით"!..**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

**პედაგოგიკის დოქტორი, ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი (რაინდი), იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი**



555 56 75 37

---

**დემოკრატები, რომლებიც ტრამპს კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ, საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვენ. მათი აზრით, არავინ არავის არ აჩუქებს 400 მილიონდოლარიან თვითმფრინავს ისე, უბრალოდ. თან, კატარი დასავლელი პოლიტიკოსების მოქრთამვაშია შემჩნეული.**

**თვითმფრინავი სანახავად ამერიკის პრეზიდენტს ფლორიდაში, მის რეზიდენცია მარ-ა-ლაგოში ჩაუყვანეს. ტრამპი ძლიერით აღფრთოვანებული დარჩა. ეს ამბავი კი, ახლა, იმიტომ გამომჟღავნდა, რომ თვითმფრინავის გასაფორმებლად დიდი და რთული ტექნიკურ-ბიუროკრატიული გზაა გასავლელი.**

ტრამპს სურს, ის პრეზიდენტის პირად თვითმფრინავად გადაკეთდეს, ხოლო, მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ტრამპის ფონდს გადაეცეს საკუთრებაში. ამერიკის პრეზიდენტებს სწორედ ამ მოდელის ბოინგი ემსახურება, მაგრამ ორი საპრეზიდენტო თვითმფრინავი 1990-იან წლებშია შეძენილი და, უკვე მოძველებული, ხშირად ფუჭდება.

გარდა ამისა, ტრამპს ეს თვითმფრინავები მისი პრეზიდენტობის პირველსავე ვადაში არ მოსწონდა მათში კომფორტის ნაკლებობის გამო. ტრამპის მოსაზრება ნაჩუქარი თვითმფრინავის გამოყენების შესახებ არავის არ ეპიტნავა. დემოკრატები, რომლებიც ტრამპს კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ, საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვენ. მათი აზრით, არავინ არავის არ აჩუქებს 400 მილიონდოლარიან თვითმფრინავს ისე, უბრალოდ. თან, კატარი დასავლელი პოლიტიკოსების მოქრთამვაშია შემჩნეული.

მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, ევროპარლამენტში ამ ტიპის სკანდალი აგორდა, რომლის შედეგად ერთი ბერძენი დეპუტატი დააკავეს; ისრაელში არ ცხრება ლაპარაკი კატარის მიერ ნეთანიაჰუს მრჩევლების მოსყიდვაზე; ამერიკელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ ამერიკის გენერალური პროკურორი პემ-ბონდი, წინათ კატარის ლობისტი იყო, რითაც 100 ათას დოლარზე მეტი ფული გააკეთა; ტრამპის სიძის, ჯარედ კუშნერის საინვესტიციო კომპანიაში Affinity-Partners, კატარის დიდი ფულია ჩადებული; ამერიკის პრეზიდენტის ვაჟმა, ერიკ ტრამპმა, ხელი მოაწერა კატარში Trump-International-ის გოლფის კლუბის მშენებლობაზე შეთანხმებას. უსაფრთხოების ექსპერტები სხვა პრობლემაზეც ამახვილებენ ყურადღებას: ამერიკის პრეზიდენტების თვითმფრინავები ურთულესი თავდაცვითი და უსაფრთხოების აპარატურითაა დამონტაჟებული. კატარის ნაჩუქარი თვითმფრინავი რომ საპრეზიდენტო თვითმფრინავად იქცეს, ის მთლიანად უნდა დაიშალოს და შესაბამისად გადაკეთდეს, რასაც დიდი დრო და ფული სჭირდება.

**ტრამპს კი ამ საკითხზე სიტყვის გაგონება არ სურს. მან განაცხადა: თანხა, რომელსაც ჩვენს საპრეზიდენტო თვითმფრინავების ტექნიკურ მომსახურებაზე ვხარჯავთ, ასტრონომიულია. ვფიქრობ, ეს შესანიშნავი ჟესტია კატარისგან. ძალიან ვაფასებ. არასდროს ვიტყოდი უარს ასეთ შეთავაზებაზე. სულელი ვიქნებოდი, რომ მეთქვა.**

ტრამპის საქციელმა მისი მომხრეებიც გაანაწყენა. ცნობილმა ულტრამემარჯვენემ და ტრამპის ახლო წრის წევრმა ლორა ლუმერმაც დაგმო ეს საქციელი. ტრამპი ლორა ლუმერს ბევრ რამეში უჯერებს. სწორედ მისი რჩევით გაათავისუფლა თანამდებობიდან ეროვნული დაზვერვის სააგენტოს დირექტორი, გენერალი ტიმოთი ჰო.

ახლა კი, იგივე ლორა ლუმერმა კატარის თვითმფრინავზე ასეთი კომენტარი გააკეთა: მე მიყვარს პრეზიდენტი ტრამპი, რომლის გულისთვის, გასროლილ ტყვიასაც არ შევუშინდებოდი, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ 400 მილიონდოლარიანი საჩუქარი კოსტიუმებში გამოწყობილი ჯიჰადისტებისგან, და თუ მივიღებთ, პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას დიდ ზიანს მივაყენებთ ამით.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

# გმადლობთ, ვალენსია!



**„ვალენსიას“ მეკარემ გიორგი მამარდაშვილმა** „ბილბაოსთან“ მატჩის (0:1) შემდეგ, რომელიც მისთვის „ღამურებში“ „მესტალიაზე“ ბოლო იყო, კომენტარი გააკეთა.

**„რთული საღამოა, ძალიან აღელვებული ვარ. „ვალენსიას“ გარეშე ის არ ვიქნებოდი, ვინც დღეს ვარ, ყოველთვის ჩემს გულში იქნება. თანაგუნდელებმა წარმატებები მისურვეს. ჩვენი მიზანი ლა ლიგაში დარჩენა იყო, ბევრი ვიტანჯეთ, მაგრამ მიზანს მივაღწიეთ. ევროზონაში მოხვედრის შანსიც გვქონდა, თუმცა იმედია, მომდევნო სეზონში „ვალენსია“ ევროტურნირებზე გავა. ხაუმე? ის გენიოსია, შესანიშნავი ადამიანი და მეკარე. ამ ოთხი წლის განმავლობაში ყოველთვის მეხმარებოდა“,** – უთხრა **გიორგიმ** Movistar-ს.

შემდეგ მან კომენტარი VCF Media-სთანაც გააკეთა, სადაც დაახლოებით იგივე შინაარსის მესიჯები ჰქონდა:

**„ჩემთვის ძალიან ემოციური საღამო იყო. „ვალენსიაში“ წარმოუდგენელი 4 წელი გავატარე, მძიმე შრომით, ბევრი კარგი და ცუდი დღით, მაგრამ ეს 4 წელი ჩემი კარიერისთვის მნიშვნელოვანია. მინდოდა, კლუბში ყველასთვის მადლობა გადამეხადა, ყველა თანაგუნდელისთვის, ვინც კი მყოლია.**

**„მესტალიას“ ოვაციები ძალიან ამაღელვებელია, 4 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეჯამებაა. სიმართლე ისაა, რომ როდესაც აქ ჩამოვედი, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ეს დღე დადგებოდა. „ვალენსიამ“ ჩემი, როგორც მეკარის კარიერა შექმნა. ძალიან ვამაყობ, რომ ეს კარი დავიცავი. მინდა, თანაგუნდელებს წარმატებები ვუსურვო და მადლობა ხაუმეს, რომელიც შესანიშნავი ადამიანი და მეკარეა. ამ წლების განმავლობაში ძალიან დამეხმარა, ადვილი არ იყო ჩემთვის, მაგრამ ის 4 წლის განმავლობაში გვერდში მედგა და მეხმარებოდა“,** – თქვა **მამარდამ.**

გიორგი „ვალენსიას“ სოციალურ ქსელში ღია წერილითაც დაემშვიდობა:

**„არ ვიცი, ვიყავი თუ არა საუკეთესო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი ჩემი თავის საუკეთესო ვერსია. დღეს განსაკუთრებული და ემოციური დღეა. დასრულდა თავგადასავალი, რომელიც 4 წლის წინ დაიწყო. ჩამოვედი როგორც უბრალო ბავშვი, ესპანურის ცოდნის გარეშე, მაგრამ დიდი ოცნებით. ამ დროში იყო ბევრი სირთულე, განვითარების რთული გზა და დაუვიწყარი მომენტები. დღეს დროა დაგემშვიდობოთ. მადლობა ყველას, ვინც ამ 4 წლის განმავლობაში ჩემს გვერდით იდგა. ვფიქრობ, ჩემი პატარა ისტორია ვალენსიაში დავტოვე. იმედია, ეს კლუბი ყოველთვის იქნება იქ, სადაც მისი ადგილია“.**

**შეგახსენებთ**, რომ გიორგი მამარდაშვილმა მიმდინარე სეზონში 33 მატჩი ჩაატარა და 8-ჯერ კარი მშრალად შეინახა. 2021 წლიდან მან ესპანურ გუნდში მთლიანობაში 133 მატჩი ჩაატარა. „ვალენსია“ სეზონს 25 მაისს „ბეტისთან“ საგარეო მატჩით დაასრულებს.

# კერპის ერთგული

**ქართული სარეჟისორო სკოლის სპორტული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელს გოგი თორაძეს სხვადასხვა სახეობის თემატიკაზე მრავალი ფილმი გადაუღია, ერთ-ერთი მათგანი – „ქართული ფეხბურთის ისტორია“ კი მილანის შესაბამისი პროფილის ფესტივალის ლაურეატი გახდა. და აი, სიამოვნებით გაუწყებთ, რომ კინოაკადემიის ლურჯ დარბაზში ხელოვანის ახალი მოკლემეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილების „ანას“ პრემიერა შედგა, რომელიც პარატაეკვანდოისტ ანა ჯაფარიძეს ეძღვნება.**

ფილმში მოთხრობილია პატარა გოგონას ისტორია, რომელიც ბავშვობიდანვე ჯეკი ჩანის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ და ამიტომაც ორთაბრძოლაში ვარჯიში აირჩია, ხოლო შარშან, როცა პარიზის პარაოლიმპიური თამაშების ბრინჯაო მოიხვეჭა, ის სწორედ ჩინელმა სუპერვარსკვლავმა დააჯილდოვა.

**ცნობისთვის: ანა ფორუმზე ჩვენი დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო და პირველივე ცდაზე მედლის მოგება მოახერხა.**



# კარგიც, ცუდიც



**დაიწყო ტელეიმედის ყველაზე რეიტინგული შოუს – „ვინ ვინ არის“ მეოთხე სეზონი და თითქოს ახალ სამყაროში შევაბიჯეთ, პროფესიონალიზმი თუ გემოვნება რომ ამკობს.**

ბუნებრივია, ახალ პერსონაჟებს პროექტის ახალი წამყვანი – პოპულარული მომღერალი **მაკა ზამბახიძე** და ჟიურის ახალი წევრი – მრავალი დაუვიწყარი სანახაობის ორიგინალური დადგმით გამორჩეული რეჟისორი **ბასა ფოცხიშვილი** ამშვენებენ, უკვე გამობრძმედილი ძველი გვარდიის – **მანიკა ასათიანი, ანრი ჯოხაძე** და **ოთარ ტატიშვილი** – ღირსეულ თანამოაზრედ პირველივე საღამოს რომ წარმოჩინდა.

და სასტარტო სიურპრიზიც: პროგრამას ყურძნად გარდასახული დიდი ფეხბურთელი – **ოთარ გაბელია** გამოეთიშა, რომელმაც ჩვეული ოსტატობით მოირგო ჩვენთვის საკულტოდ ქცეული ვაზის მეგობრის როლი.

პარალელურად, ერთი არასასიამოვნო ინფორმაციაც გავრცელდა: თურმე შფოთი ტანვარჯიშის ეროვნულ ფედერაციაში ატეხილა, სადაც ბოიკოტის პროცესში ბავშვებიც ჩაურთავთ, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია.

რაც შეეხება საბაბს, მეოთხე საპრეზიდენტო ვადით არჩეული **კონსტანტინე ლაშხის** განცხადებით, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტებს **მაკა გიორგობიანსა** და **რუსუდან ხოფერიას**, მართალია, პროტესტის ნიშნად თანამდებობები დაუტოვებიათ, მაგრამ ხელფასებს მაინც იღებენ.

ვიმედოვნებთ, ბურუსი სპორტის მინისტრ **შალვა გოგოლაძის** ძალისხმევით გაიფანტება.

# უქმეების ამბები

## ფრენბურთი

**თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი.**

**ქალები.** საპრიზო სამეული. ევროპის უნივერსიტეტი (პირველად), ბათუმი, თბილისი. **ინდივიდუალური პრიზების მფლობელები: ირინა ჭელიძე, ანი მდივანი, სვეტა სოსნოვსკაია, ქეთი ულაშვილი** – ყველა ეუ, **თინათინ ჭაუჭიძე** (თბილისი), **ელენე მექვაბიშვილი** (ბათუმი) და **ანა ლაითაძე** (თბილისი).

**ვაჟები.** საპრიზო სამეული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ზედიზედ მესამედ!), გორი, ბათუმი. **ინდივიდუალური პრიზების მფლობელები**: **თორნიკე კამკამიძე, გარიკ მურაზიანი, სანდრო ნაცვლიშვილი, როინ ძნელაძე** – ყველა სტუ, **ნიკოლოზ მჭედლიძე, ბადრი ნუცუბიძე** – ორივე გორი და **მანუჩარ დეკანაძე** (ბათუმი).

## ძიუდო

**ნუსია (ესპანეთი)**. ევროპის ღია პირველობა. **ოქრო** – ლაშა ბექაური (90 კგ). ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრიელი, ფრანგი, ნიდერლანდელი (იუკოთი), ბრაზილიელი და ფინალში – მასპინძელი მეტოქეები იპონებით დაამარცხა და სრულ მზადყოფნაში ხვდება მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელსაც 13-19 ივნისს ბუდაპეშტი უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ლაშა ტატამზე ხუთრგოლიან პარიზში შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ პირველად გამოვიდა და მის მდიდარ კოლექციას მხოლოდ მუნდიალის ტიტული აკლია.



ამავე ტურნირზე ესპანელებს უმაღლესი სინჯის მედალი პლანეტის ორგზის გვირგვინოსანმა **ნიკო შერაზადიშვილმა** (100 კგ) მოუტანა.

## ჩოგბურთი

**ბორდო (საფრანგეთი).** საერთაშორისო ტურნირი. **მე-2 ადგილი** – ნიკოლოზ ბასილაშვილი (157-ე რეიტინგის მქონე). მან ესპანელ, აგრეთვე პირველი ასეულის წევრ ფრანგ, ამერიკელ და ნიდერლანდელ მეტოქეებს სძლია, ფინალში კი კიდევ ერთ კორტის მასპინძელ პერიკარისთან 2-საათიან ბრძოლაში 3 პარტიაში დამარცხდა.

## ნიჩბოსნობა

**სეგედი (უნგრეთი).** მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპი. ოქრო – გია გაბედავა („ბ“ ფინალი. ერთადგილიანი კანოე (C 1) 200 მეტრზე).



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელიზა ჭოჭელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელიზა ჭოჭელი (პ/ნ 59001005982), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გორი, სოფელი გუგუტიანთკარი (საკადასტრო კოდი: 66.51.03.099)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16433.07 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 21 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 2 ივნისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP108883325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1088833

**6. მოვალე:** ელიზა ჭოჭელი (პ/ნ 59001005982), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი
ლევან გუგუტიშვილი (პ/ნ 59001034953), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP108883325; ლოტის ნომერი: 1088833).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 2 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რუსლანი ინასარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რუსლანი ინასარიძე (პ/ნ 47001004811), ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა, მე-7 ქუჩა N9 (საკადასტრო კოდი: 62.12.02.535)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 186013.35 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 20 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 2 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP108805525;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1088055

**6. მოვალე:** რკ მესხეთი (ს/კ 424068653), ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა;
გალინა ინასარიძე (პ/ნ 47001025348), ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა;
ნიკოლოზ ინასარიძე (47001020798), ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა;
რუსლანი ინასარიძე (პ/ნ 47001004811), ახალციხე, სოფელი ანდრიაწმინდა.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP108805525; ლოტის ნომერი: 1088055).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 2 ივნისის 12:00 საათამდე.



# ნარკოტიკული საშუალების უკანონო გავრცელების სქემა კახეთში

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით ექვსი პირი დააკავეს.**

შსს-ს ცნობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის, რეალიზაციის მცდელობისა და მომზადების ბრალდებით დაკავებულები არიან: 1976 წელს დაბადებული მ.ა., 2001 წელს დაბადებული ჯ.ქ., 1990 წელს დაბადებული მ.ჯ., 2003 წელს დაბადებული ბ.ბ., 2003 წელს დაბადებული რ.ნ., და წარსულში ნასამართლევი 1996 წელს დაბადებული შ.ე. დანაშაულები 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „ტანტრა იოგას“ ამოფარებული ტრანსნაციონალური დამნაშავეები

**საქართველოდან საფრანგეთის რესპუბლიკაში ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ განხორციელებული ტრეფიკინგის დანაშაულისთვის ძებნილი პირების ექსტრადიცია განხორციელდა.**

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული პირები ქართული და ფრანგული მხარის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს.

**ექსტრადირებული პირები საფრანგეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ 2024 წლიდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდნენ. ფრანგული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ „ტანტრა იოგის“ საფარქვეშ მოქმედი ტრანსნაციონალური ორგანიზებული ჯგუფის ფარგლებში, რომლის მიზანს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი წარმოადგენდა, ერთ-ერთი დანაყოფის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს სულ მცირე შვიდი პირის საფრანგეთის რესპუბლიკაში გადაყვანაში და მათ სექსუალურ ექსპლუატაციაში.**

საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობების საფუძველზე აღნიშნული პირების საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დასაშვებად იქნა ცნობილი. 2025 წლის 16 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნული პირების საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის თაობაზე, რის შემდგომაც ძებნილი პირები სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ გადაეცა საფრანგეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებს.

# კორუფცია NATO-საც ხრავს!

**„ნატოს მხარდაჭერისა და შესყიდვების სააგენტოს“ თანამშრომლებთან დაკავშირებული კორუფციული გამოძიების საქმეზე ხუთი ადამიანი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ორი ადამიანი ბელგიაშია დაკავებული, სამი კი ნიდერლანდებში.**

ბელგიის პროკურორმა განაცხადა, რომ დაკავებები ეხება ნატოს მეშვეობით საბრძოლო მასალისა და უპილოტო აპარატების შესაძენად გაცემულ კონტრაქტებში „შესაძლო დარღვევებს“.

ბელგიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ნატოს სააგენტოს თანამშრომლებმა ან ლუქსემბურგში ყოფილმა თანამშრომლებმა შესაძლოა, ინფორმაცია გადასცეს თავდაცვის კონტრაქტორებს.

**„არსებობს მინიშნებები, რომ ამ უკანონო პრაქტიკიდან მიღებული ფული შესაძლოა, გათეთრებულიყო, ნაწილობრივ საკონსულტაციო კომპანიების შექმნით“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

პარალელურად, ნიდერლანდების ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაკავებულთა შორის არის 58 წლის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, რომლის წინა სამსახურიც „საერთაშორისო შესყიდვების კონტრაქტებს მოიცავდა.“

ლუქსემბურგში პროკურატურამ დაადასტურა, რომ დიდ საჰერცოგოში დოკუმენტები ამოიღეს და გამოძიება ასევე გავრცელდა იტალიაში, ესპანეთსა და აშშ-ში, რომელსაც კოორდინაციას უწევს ევროკავშირის მართლმსაჯულების სააგენტო „ევროჯასტი“. ალიანსის გენერალურმა მდივანმა, მარკ რუტემ განაცხადა, რომ გამოძიება თავად სააგენტომ დაიწყო.

ნატოს შესყიდვების სააგენტო, რომელსაც 1 500 თანამშრომელი ჰყავს, ლუქსემბურგში მდებარეობს, ხოლო ფილიალები ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანაში აქვს. ნატოს ოპერაციების ან მისიებისთვის ლოჯისტიკური მხარდაჭერის გარდა, მას ასევე შეუძლია წევრი სახელმწიფოების სახელით თავდაცვის კონტრაქტებზე მოლაპარაკება. ნატოს თანახმად, თავად სააგენტო მოქმედებს „ზარალის გარეშე, მოგების გარეშე“ პრინციპით.


# განცხადება

**2025 წლის 20 ივნისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტი“-ს აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2024 წლის ანგარიში;
2. დივიდენდების გაცემა;
3. სხვადასხვა.

**სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 21 მაისი.**
**მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. N29**

**ადმინისტრაცია**






# „ოქროს საწმისი — ქართული ხელოვნება“ წარდგინება

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული კატალოგის, „ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება“ (GOlDEN FLEECE _ ART OF GEORGIA), პრეზენტაცია გაიმართა.**

ინგლისურენოვანი კატალოგი ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე და დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელს გახდის ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპების შესახებ ინფორმაციის სწრაფად და მარტივად მოძიებას.

**გამოცემა ისტორიას შემოუნახავს ფოტომასალას და სამეცნიერო სტატიებს კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში ქართული კულტურისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების შესახებ.**

კატალოგში შესულია ქართველი და პოლონელი მეცნიერების 23 სტატია.

კრაკოვში გამართული გამოფენის მსგავსად, კატალოგიც დაყოფილია თემატურ სექციებად, რაც უცხოელ მკითხველს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის ქართული კულტურის ისეთ სიმდიდრეზე, როგორიც არის: ღვინო – ქართული იდენტობის სიმბოლო, მდიდარი არქეოლოგიური მასალა, ოქროს ნაკეთობები; დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობს კოლხეთისა და იბერიის კულტურას, ოქროს საწმისის ისტორიას, ქრისტიანულ საქართველოს, იარაღის ისტორიას, ოქროს ხანას, ქართულ იკონოგრაფიას, ქართულ ანბანსა და უძველეს ხელნაწერებს, ქართულ ფოლკლორს, პოლიფონიას, სამოსს, ფიროსმანის შემოქმედებასა და ქართულ მოდერნიზმს. პრეზენტაციას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** დაესწრო.

# ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მემორიალური ნივთები გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში

**მუზეუმების საერთაშორისო დღეს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მწერალთა და მოღვაწეთა მემორიალური ნივთები გამოიფინა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, **გამოფენაზე წარმოდგენილია მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის დაარსებიდან – 1931 წლიდან დღემდე, მუზეუმის ფონდებში დაცული ალექსანდრე და ნინო ჭავჭავაძეების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მანანა ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ალექსანდრე ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის და სხვათა საოჯახო რელიკვიები, ავეჯი, ტანსაცმელი, იარაღი, მუსიკალური საკრავები, ფოტოები, მხატვრული პორტრეტები, ხელნაწერები და დოკუმენტები. გამოფენა დამთვალიერებელს 18 ივნისამდე უმასპინძლებს.**





# მუზეუმების საერთაშორისო დღე უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მხარდაჭერით მოეწყო შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ხალხური რეწვის ოსტატებისა და მცირე მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, გაიმართა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი და შიდა ქართლში ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **თეა ონიანი,** დირექტორის მოადგილე **პაატა გაფრინდაშვილი,** სახელმწიფოს რწმუნებული შიდა ქართლში **სიმონ გულედანი,** გორის მერის მოვალეობის შემსრულებელი **კონსტანტინე ბუზალაძე,** გორის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე** .

# სტალინის აღდგენილი მონუმენტი „ტაგანსკაიაზე“

**ხუთშაბათს, 15 მაისს, მოსკოვის ხელისუფლებამ რუსეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მეტროსადგურში გახსნა დიდი პანო იოსებ სტალინის გამოსახულებით.**

ბელადის რეაბილიტირებას კრემლი წლების განმავლობაში ცდილობდა და ამ მიზნით, წინა პლანზე გადმოჰქონდა ისტორიის ულტრაპატრიოტული ვერსია, რომელიც გვერდს უვლის საბჭოთა ეპოქის რეპრესიებს. ბოლო წლებში რუსეთში სტალინის რამდენიმე პატარა ბიუსტი და ქანდაკება დაიდგა, თუმცა, ეს, ძირითადად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე და პატარა ქალაქებში ხდებოდა. დედაქალაქის გულში სტალინის დიდი გამოსახულება დღემდე უპრეცედენტო ამბავი იყო.

ერთ-ერთ ცენტრალურ მეტროსადგურ „ტაგანსკაიაზე“ მოწყობილი პანო, რომელზეც წარმოშობით ქართველი საბჭოთა ბელადია გამოსახული, არის ასლი ცნობილი ბარელიეფისა „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადსა და მთავარსარდალს მადლიერი ხალხისგან“. თავად ორიგინალი XX საუკუნის 60-იან წლებში სტალინის მემკვიდრის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გამოცხადებული „სტალინის კულტის“ პოლიტიკის ფარგლებში განადგურდა. **„ჩვენ აღვადგენთ დაკარგულ ისტორიულ ბარელიეფს, რომელიც დიდ სამამულო ომში გამარჯვებას ეძღვნება “,** – განაცხადა 10 მაისს მოსკოვის მეტროს ხელმძღვანელობამ, რომელმაც, ამ შემთხვევაშიც, „მეორე მსოფლიო ომის“ შესატყვისი რუსული სახელწოდება „დიდი სამამულო ომი“ გამოიყენა. ძველ ბარელიეფზე გამოსახული იყო სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ულვაშებიანი ბელადი, გარშემორტყმული ბავშვებითა და მუშებით, რომლებიც მას შესცქეროდნენ და მისკენ ხელებს იწვდიდნენ.



**სტალინის თავს ზემოთ გამოსახულია რუსეთის კომუნისტი მმართველის ვლადიმერ ლენინის პროფილი. მეტროსადგური „ტაგანსკაია“ 1950 წელს გაიხსნა, თავად ბარელიეფი კი იმ დროინდელი ბელადის ტიპურ გამოსახულებას წარმოადგენდა. როგორც რუსული დამოუკიდებელი მედია იუწყება, მონუმენტის რეკონსტრუქციის შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებას, მის ოფიციალურად გახსნამდე, არ გაუვრცელებია. წარსულში რუსეთში სტალინის ბიუსტების გახსნა აზრთა სხვადასხვაობას და პროტესტს იწვევდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგვეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 23 მაისს